საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადისიბაგე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 18 აპრილი. 2022 წ. №50 (9388) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

8

აფხაზეთი: როგორ მოვექცეთ უკრაინაში განბილებულ „ჩაცუცქულს“

თავისუფალი, რეალური და არა პუტინისეული სინამდვილის ამსახველ მედიაგე წვდომა, რუსეთის მსგავსად და მისივე მოთხოვნით, აფხაზეთშიც მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, მაგრამ მოსახლეობა უიმისოდაც მშვენივრად ხვდება, რომ ყველაფერი სულაც არაა ისე, როგორც კრემლის პროპაგანდისტები სახავენ. აფხაზურმა საზოგადოებამ ხომ უკვე დაიწყო საკუთარ თავზე არა მარტო დასავლური სანქციების, არამედ ბუნკერის მმართველის ბრალეულობით არაშესაშურ დღეში ჩავარდნილი რუსეთის მიერ თავს მოხვეული რეპრესიების წვნევაც.

6

ომარ მარგველაშვილი: რეზო ამაშუკელი – საქართველოს გულმხურვალე ჭირისუფალი

გზა ევრო-კავშირისკენ

2

კიოხვარებზე გადის

შალვა პაპუაშვილი: ეს საშინელება უნდა დასრულდეს!

5

„ეს საშინელება უნდა დასრულდეს! ეს ტკივილი კიდევ უფრო მძიმე საყურებელია ჩვენთვის, ქართველებისთვის, ვინც საკუთარ თავზე 1990-იან წლებში და 2008 წელს არაერთხელ გამოვცადეთ ომის საშინელება. უკრაინელებო, საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს ხელისუფლება და პირადად მე, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და როგორც რიგითი ადამიანი, თქვენს გვერდით ვდგავართ. აღფრთოვანებული ვართ თქვენი სიმამაცით, სიმტკიცით, გაუტეხლობით. თქვენს გმირულ თავგანწირვას მომავალ თაობებს მოუყვებიან.

განსაცდელი დროებითია. თქვენს მშვენიერ ქვეყანაში მშვიდობა მალე აუცილებლად დაისადგურებს, ვინაიდან სიმართლე თქვენს მხარესაა. **დიდება და მშვიდობა უკრაინას!**

აბა, რა ეგონა პუტინს, სტალინს რომ ღალატობდა?!

7

ჩაძირული „მოსკოვი“ და საიდუმლო სერობა ბაკურიანში

4

მოდი და ნუ გადაირევი! თქვენთან ერთად არა, ჩვენ ცალკე წავალთო. აღმოჩნდა, ოფიციალურ დელეგაციას ჩასწრეს კიდეც! ფოტოსურათზე ჩანან ყურებამდე ტუჩებგახეული ნიკა მელია, ეკა ხერხეულიძე, კობა ნაყოფია, გიორგი მარგველაშვილი (ჩვენი ხვითო მეოთხე პრეზიდენტი ზეობის ქამს გამოჩენილი უნიათობის საკომპენსაციოდ ახლა პირდაპირ დანას ეხევა ნაცებისთვის ძმობის დასამტკიცებლად).

სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმი

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** კათოლიკურ, სომხურ და ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს.

„ქრისტიანული სამყაროსთვის ამ უდიდეს დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას ვულოცავ რომის კათოლიკური ეკლესიის, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიისა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მრევლს, ყველას, ვისთვისაც ეს დღე განსაკუთრებული და ძვირფასია"...

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** ყველას, ვინც გუშინ ზეიმობდა იესო ქრისტეს აღდგომას, დღესასწაული მიულოცა.

„ყველას, ვინც დღეს ზეიმობთ იესო ქრისტეს აღდგომას, გილოცავთ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმს! მაცხოვრის მკვდრეთით აღდგენის სიხარულს მშვიდობა, სიკეთე და სათნოება მოეტანოს ომით, ბოროტებითა და ტკივილით დაღლილი დედამიწისთვის!"...

მეუფე შიო: ეს დღე საოცარი გამონათება იყო!

სრულიად **საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სასულიერო პირებთან ერთად, სამების საკათედრო ტაძარში ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა.** წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ, მრევლს საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მიმართა და მათ ბზობის დღესასწაული მიულოცა.

„ეს დღე საოცარი გამონათება იყო– თითქოს, ყველამ ცნო იგი, როგორც მეფე, მეუფე, როგორც მესია, როგორც სასწაულმოქმედი... სულ რამდენიმე დღეში, იგივე ხალხმა მოითხოვა უფალ იესო ქრისტეს ჯვარცმა და სიკვდილით დასჯა. ჩვენ გვაფიქრებს ეს მოვლენა ადამიანის ცვალებადობაზე, ჩვენს ცვალებადობაზე, ჩვენს თავშიც შეგვიმჩნევია, რომ ის ოსანა, რომელიც ჩვენს სულშია, ხშირად შეცვლილა საპირისპირო განწყობით და ადამიანები თავიანთი ცოდვებით, თავიანთი ვნებებით, მიუხედავად იმისა, რომ არ უგალობიათ, კვლავ ითხოვენ ქრისტეს ჯვარცმასა და დასჯას".

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინიდან გუშინ დაბრუნდა

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით უკრაინაში 16 აპრილს ჩავიდა.

ქართველ დეპუტატები კიევში უკრაინის რადას თავმჯდომარე რუსლან სტეფანჩუკმა მიიღო.

საქართველოს დელეგაციის წევრები რადას თავმჯდომარესთან ერთად იმყოფებოდნენ ბუჩასა და ირპენში. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერები – დავით სერგეენკო, არჩილ თალაკვაძე და ლევან იოსელიანი. ასევე, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, „ლელოს" წევრი ანა ნაცვლიშვილი, „გირჩის" წევრი ვახტანგ მეგრელიშვილი, „რესპუბლიკელი" ხათუნა სამნიძე და პარტია „აქართველოსთვის" წევრი – გიორგი ხოჯევანიშვილი.

შალვა პაპუაშვილი: საქართველოს დროშა ყოველთვის იფრიალებს კიევში!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უკრაინაში საქართველოს საელჩოსთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა.

„მამაცი, გაბედული და თავდადებული ქართველი დიპლომატების წყალობით, საქართველოს დროშა ყოველთვის ფრიალებდა კიევში, საქართველოს საელჩოს წინ, ყველაზე სახიფათო დღეებშიც კი. თქვენი უშიშარი ძალისხმევა ძალიან დასაფასებელია", – წერს შალვა პაპუაშვილი. საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ბუჩასა და ირპენში იმყოფებოდა. უკრაინაში ვიზიტის დროს, ჯგუფის შემადგენლობაში არ იყვნენ „ნაცმოძრაობისა" და „ევროპელი სოციალისტების" წარმომადგენლები.

სანქციები არ დარღვეულა - ნასტელევიზიები ისევ სიცრუეს ავრცელებენ!

ტელეკომპანია „ტვ პირველმა" გაავრცელა მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია, თითქოს ბათუმის ნავსადგურში არსებული „ტერმინალი 1" ემსახურება რუსული სანქცირებულ გემებს და ეხმარება მათ სანქციებისგან თავის დაღწევაში, – ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ევროკავშირის სანქციების მე-6 პაკეტი, რომელიც მოიცავს რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი გემებისთვის ევროკავშირის პორტებში შესვლის აკრძალვას, ითვალისწინებს გამონაკლისებს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების, ასევე ჰუმანიტარული დახმარების მიმართ.

შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები დღემდე არსებობს.

2022 წლის 07 აპრილს ბათუმის ნავსადგურში არსებული შპს „ტერმინალ 1"-ის ნავმისადგომზე შემოსულმა რუსეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა, სახელწოდებით: შემოიტანა დიზელის საწვავი და 12 აპრილს დატოვა ნავსადგური. შესაბამისად, „ტერმინალი 1"-ის მიერ გაწეული მომსახურება არ წარმოადგენს სანქციების დარღვევას, ან სანქციებისთვის გვერდის ავლის ხელშეწყობას.

ამასთან, ისიც აღსანიშნია, რომ გემი შემოვიდა ტერმინალში 2022 წლის 7 აპრილს, როცა ევროკავშირის სანქციების ახალი პაკეტი არ იყო დამტკიცებული.

ზემოთქმული ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული მედიის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

ტელეკომპანია, სამწუხაროდ, აგრძელებს მავნებლურ და უპასუხისმგებლო, გადაუმოწმებელ და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საშიშ ქმედებებს. ტელეკომპანია წარმართავს საქართველოს საწინააღმდეგო კამპანიას ისეთი უპასუხისმგებლო განცხადებებით, რომლებიც უპირისპირდება არა აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალის, არამედ ჩვენი საერთო სახელმწიფოს უსაფრთხოებას", – ნათქვამია განცხადებაში.

ვითარება სტაბილურია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა!..

ამირან გამყრელიძემ გუშინ არსებულ ეპიდვითარებასა და სააღდგომოდ მოსახლეობისადმი რეკომენდაციებზე ისაუბრა.

„ძალიან მნიშვნელოვანი კვირაა. ყველაზე დიდი დღესასწაულები მოდის, როგორიც არის აღდგომის დღესასწაული. მოგეხსენებათ, რომ პანდემია ჯერ ისევ გრძელდება. ჩვენს ქვეყანაში ბოლო კვირების განმავლობაში ეპიდვითარება სტაბილურია, ახალი შემთხვევების რაოდენობა მერყეობს 100-სა და 300-ს შორის. ყველა ინდიკატორი არის გაუმჯობესებული. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეპიდსიტუაცია სრულად ემორჩილება კონტროლს. საავადმყოფოებში დღეს წევს მხოლოდ 340 პაციენტი. ასევე, შემცირდა რეანიმაციებში და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში პაციენტთა რაოდენობა, ანუ სიტუაცია გაცილებით უფრო მშვიდია, ვიდრე შარშან და შარშანწინ. 2020-ში ჩვენ ნაკლები ვიცოდით ამ ვირუსის შესახებ და სიფრთხილის მაქსიმალური ზომები გვქონდა. შარშან ეპიდვითარება, წლევანდელთან შედარებით, უფრო რთული იყო, რეკომენდაციებიც უფრო მკაცრი გვქონდა. წელს კი მხოლოდ და მხოლოდ უნდა მოვუწოდოთ მოსახლეობას, რომ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ეპიდსიტუაცია შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ", – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მისვე თქმით, აუცილებელია დახურულ სივრცეში პირბადის ტარება, დიდი შეკრებებისთვის თავის არიდება და ვაქცინაცია.

„დახურულ სივრცეებში აუცილებლად უნდა ვატაროთ პირბადე, განსაკუთრებით ტაძრებში, სადაც ბევრი ადამიანი იქნება. არავინ აკრძალავს მიცვალებულებისთვის პატივის მიგებას და არავინ იტყვის, რომ არ გავიდეთ სასაფლაოებზე, მაგრამ თუ შესაძლებელია, იქნებ თავი ავარიდოთ იქ კვებას და ალკოჰოლის მიღებას, რადგან ამ დროს მარტივად ხდება ვირუსის გავრცელება, ისევე, როგორც დიდ წვეულებებსა და შეკრებებზე. და ბოლოს, რაც მთავარია – ვაქცინაცია", – განაცხადა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტით მოძრაობა დროებით შეიზღუდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 155-ე კილომეტრზე, ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში, დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაცია „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი" საქართველოს ფილიალი ახორციელებს ხიდზე რკინა-ბეტონის წინასწარდაძაბული კოჭების მონტაჟს, რის გამოც, ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, საჭიროა 2022 წლის 18 და19 აპრილს 03:00 სთ-დან 06:00სთ-მდე, აღნიშნულ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ჩაკეტვა 10-15 წუთიანი ინტერვალით.



დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში ავტოტრანსპორტით მოძრაობა თავისუფალია. საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმოძრაონ გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილონ საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲔᲪᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ 369 ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ/ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ.

ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ/ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ/ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

● გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოში კონსტიტუციური და ინსტიტუციური წყობის მოკლე აღწერა. კერძოდ, როგორ ფუნქციონირებს სამ სახელისუფლებო შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) შორის კონტროლისა და ბალანსის კონსტიტუციური სისტემა?

● რა კავშირია შიდა და საერთაშორისო სამართალს შორის კონსტიტუციის მიხედვით? ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში დაუშვებს თუ არა კონსტიტუცია ევროკავშირის კანონმდებლობის უპირატესობას შიდა კანონზე?

● როგორ ინიშნებიან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები და როგორ არის გარანტირებული საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა?

● გთხოვთ, აღწეროთ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირება, მათ შორის მის მიერ ბოლო წლების განმავლობაში მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები და როგორ ხდება მათი განხორციელება/გათვალისწინება.

● გთხოვთ, აღწეროთ რომელი ინსტიტუტებია კონსტიტუციით განსაზღვრული, როგორც დამოუკიდებელი. როგორ არის უზრუნველყოფილი მათი დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები?

● არსებობს თუ არა ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია, შეამოწმოს კანონპროექტების კონსტიტუციურობა? თუ არსებობს, გთხოვთ, დააკონკრეტოთ/განმარტოთ მისი როლი და პროცედურა პრაქტიკაში.

● გთხოვთ, აღწეროთ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა. უკვე მოხდა კონსტიტუციის გადახედვა? თუ ასეა, გთხოვთ, განმარტოთ შესაბამისი პროცედურა, ფარგლები და განხორციელებული ცვლილებები.

● არსებობს თუ არა კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს კანომდებლობის ევროპულ სტანდარტებთან და/ან ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და მოითხოვოს კონსტიტუციის ცვლილებას? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ასეთი დებულებების სია, თუ ეს შესაძლებელია.

● რა არის საქართველოს ოფიციალური ენა/ენები?

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

● გთხოვთ, მოგვაწოდოთ პარლამენტის სტრუქტურისა და ფუნქციონირების აღწერა, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის კომპეტენციების, პარლამენტის პრეროგატივების დამთავრებისა და აღმასრულებელი ინსტიტუტების საპარლამენტო ზედამხედველობის უზრუნველყოფის თაობაზე კომპეტენციების აღწერა. როგორ ხდება მსგავსი მექანიზმების დანერგვა პრაქტიკაში?

● გთხოვთ, მოგვაწოდოთ საკანონმდებლო ინიციატივებისა და კანონების უფლებამოსილი მხარდამჭერების სია და განმარტოთ კანონმდებლობის მიღების პროცედურები (მათ შორის, დაჩქარებული წესით მიღების გამონაკლისები, თუ ასეთი არსებობს).

● გთხოვთ, აღწეროთ პარლამენტის რეგლამენტი და მოგვაწოდოთ ინფორმაცია მისი განხორციელების შესახებ. ბოლოს როდის შეიცვალა ის? იგეგმება თუ არა მის შესწორება სამომავლოდ?

● როგორ ახორციელებს პარლამენტი საკანონმდებლო ფუნქციებს? არსებობს თუ არა გადამოწმების სისტემა საპარლამენტო დონეზე, რომელიც ამოწმებს ახალი კანონმდებლობის და პარლამენტში შემოთავაზებული ცვლილებების თავსებადობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან? არსებობის შემთხვევაში განმარტეთ მისი ფუნქცია და მოგვაწოდეთ სათანადო მაგალითები. ითხოვს თუ არა პარლამენტი თანმხლებ დოკუმენტებს კანონპროექტების შეფასებისას, როგორიცაა გავლენის შეფასებები, საჯარო კონსულტაციების მტკიცებულება?

● გთხოვთ, დააკონკრეტოთ, პროცენტული რაოდენობა იმ კანონებისა, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო.

● გთხოვთ, დააკონკრეტოთ პარლამენტის კომიტეტების კომპეტენცია.

● რამდენი პოლიტიკური პარტია არის რეგისტრირებული საქართველოში? რამდენი მათგანია წარმოდგენილი პარლამენტში?

გთხოვთ, მიუთითოთ პარლამენტის წევრები:

1. სქესის მიხედვით;

2. ეროვნულ უმცირესობების მიხედვით.

● გთხოვთ, აღწეროთ მოქმედი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მქონე პირებს და ამომრჩეველთა რეესტრებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

● გთხოვთ, აღწეროთ პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საერთო ჩარჩო, წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამჭვირვალობას და მოგვაწოდოთ დეტალები მისი განხორციელების მონიტორინგის შესახებ. როგორია GRECO-ს რეკომენდაციები „პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის“ შესახებ? საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები საჯარო პარტიებისთვის არჩევნების დროს ასევე მოიცავს კერძო დაფინანსების წყაროებს? გთხოვთ, განმარტოთ, რა მექანიზმები არსებობს კერძო და საჯარო მხარის დაფინანსებაზე მოხსენებისთვის.

● გთხოვთ აღწეროთ ODIHR-ის რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით დღემდე მიღწეული პროგრესი მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში კამპანიის დაფინანსების თაობაზე.

● არსებობს თუ არა კონსტიტუციური ან სხვა სამართლებრივი ჩარჩო დემოკრატიის პირდაპირი ინსტრუმენტების გამოყენებისათვის, მაგალითად, მათ შორის რეფერენდუმისთვის? როგორია ასეთი ინსტრუმენტების გამოყენების ფარგლები და პროცედურები? აქვთ თუ არა მათ სავალდებულო და პირდაპირი სამართლებრივი ეფექტი თუ ისინი მხოლოდ საკონსულტაციაა? შეიძლება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები რეფერენდუმს დაექვემდებაროს?

● რამდენად არის პარლამენტი ღია და გამჭვირვალემისი საქმიანობის წარმართვაში, საზოგადოებისა და მედიისთვის ინფორმაციისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით?

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

● გთხოვთ, მოგვაწოდოთ მთავრობის სტრუქტურისა და ფუნქციონირების აღწერა. რა არის მთავრობის სტრუქტურისა და ფუნქციონირების კანონიერი საფუძველი?

● რა მექანიზმები არსებობს სამინისტროებს შორის კოორდინაციისთვის? კონკრეტულად რა მექანიზმები არსებობს, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის კავშირისთვის თითოეულ სამინისტროში?

● რა სტრუქტურები არსებობს ევროინტეგრაციის საკითხების კოორდინაციის უზრუნველსაყოფად? როგორ ხდება შემოწმება და მონიტორინგი დაგეგმილი კანონმდებლობის შესაბამისობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან? რომელი ორგანოა პასუხისმგებელი მსგავს შემოწმებაზე?

● როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები. გთხოვთ, დააკონკრეტოთ.

● გთხოვთ, აღწეროთ მუნიციპალიტეტების საარჩევნო სისტემა. იმართება თუ არა არჩევნები მუნიციპალიტეტებში მთელი ქვეყნის მასშტაბით? რა არის დასაშვებობის მოთხოვნები და დაუშვებლობის საფუძვლები?

● ექვემდებარება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადმინისტრაციულ და სასამართლო კონტროლს?

● არსებობს თუ არა დეცენტრალიზაციის სტრატეგია ან/და დაბალანსებული ორგანიზაციის მიღწევის პოლიტიკა სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად პასუხისმგებლობებსა და რესურსებს შორის ხელისუფლების ფენებს შორის?

● ფისკალურ მენეჯმენტთან დაკავშირებით როგორ უზრუნველყოფს საქართველო, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს ჰქონდეთ საჭირო თანხები, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები?

● როგორ რეგულირდება და განისაზღვრება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრები?

● რომელი ინსტიტუტებია პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაზე?

● ხდება თუ არა რაიმე ფორმალური კონსულტაცია რეგიონებთან/მუნიციპალებთან კანონმდებლობის მომზადების კონტექსტში, რომელიც ან გავლენას მოახდენს მათზე, ან რომლის განხორციელებაშიც ისინი ჩაერთვებიან?

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: 3 მარტს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა. ქვეყნის ხელისუფლებამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადის დაჩქარებული წესით გაკეთების გადაწყვეტილება 2 მარტს მას შემდეგ მიიღო, რაც მიმდინარე ომის ფონზე უკრაინამ ევროკავშირის წევრობაზე დაჩქარებული წესით მოთხოვნა გააკეთა. ევროკავშირში დაჩქარებული წესით გაწევრიანებაზე განაცხადი 3 მარტს წარადგინა მოლდოვამაც.

11 აპრილს ევროკომისარმა სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ევროკავშირში წევრობის განაცხადთან დაკავშირებული კითხვარი გადასცა.

დოკუმენტი აუცილებელი ეტაპია ევროინტეგრაციისა და კანდიდატის სტატუსის მინიჭების გზაზე. კითხვარზე საქართველოს ხელისუფლების მიერ პასუხების გაცემის შემდეგ ევროკომისია მოამზადებს დასკვნას და ევროპულ საბჭოს გადაუგზავნის.

თვითშეფასების კითხვარის შესავსებად საქართველოს აქვს 1 თვის ვადა. საგარეოს საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ივნისში დაგეგმილ ევროკაშირის საბჭოს სხდომაზეა მოსალოდნელი.

ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲬᲕᲠᲗᲜᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲘᲡ სასროლეთზე მე-5 საარტილერიო ბრიგადის 51-ე საარტილერიო ბატალიონმა ამოცანაზე ორიენტირებული ტაქტიკური საველე წვრთნები საბრძოლო სროლებით დაასრულა. საველე წვრთნებში მე-5 საარტილერიო ბრიგადის 51 -ე ბატალიონის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები და ჰაერსაწინააღმდეგო ჯგუფები მონაწილეობდნენ.

ორკვირიანი სწავლება სამ ფაზას მოიცავდა. სწავლების დასკვნით ნაწილს სპეციალურად შერჩეული დამკვირვებელთა კომისია აფასებდა.

წვრთნების მიზანი ბატალიონის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება და სხვადასხვა საბრძოლო ელემენტის კოორდინაცია და შერწყმა იყო.

ჩაძირული „მოსკოვი“ და საიდუმლო სერობა ბაკურიანში

რუსეთ-უკრაინის ომის მძვინვარების პარალელურად ყოველდღიურად იჩენს თავს სიახლეები, რომლებსაც არავინ ელოდა და რომლებიც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედაც უკადრისია ამ ძმათამკვლელ ომში: ხელებშეკრული ტყვეების დახვრეტა, ქალებისა და უწლოვანი გოგონების მასობრივად გაუპატიურება, წამება, დასახლებების ძირფესვიანად მოთხრა-დაქცევა, მათ შორის ისეთებისა, სადაც წამლადაც არ იყო სამხედრო ობიექტები, ადამიანების ცოცხლად დაწვა, გაუგონარი მოროდიორობა და ყაჩაღობა, დაწიოკებულთა გარეკვა-გაციმბირება... მითქმა-მოთქმაა მარიუპოლთან ქიმიური იარაღის გამოყენებაზე. რუსი სამხედროების მიერ ჩადენილმა მხეცობამ კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომის კადრები გაახსენა და აღაშფოთა.

მოდი და ნუ გადაირევი! თქვენთან ერთად არა, ჩვენ ცალკე წავალთო. აღმოჩნდა, ოფიციალურ დელეგაციას ჩაასწრეს კიდეც! ფოტოსურათზე ჩანან ყურებამდე ტუჩებგახეული ნიკა მელია, ეკა ხერხეულიძე, კობა ნაყოფია, გიორგი მარგველაშვილი (ჩვენი ხვითო მეოთხე პრეზიდენტი ზეობის ჟამს გამოჩენილი უნიათობის საკომპენსაციოდ ახლა პირდაპირ დანას ეხევა ნაცებისთვის ძმობის დასამტკიცებლად).

უკრაინელები მოვლენათა კვალდაკვალ კრებენ ოკუპანტთა სამხედრო დანაშაულობათა მტკიცებულებებს ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის, რათა ხვალ ნიურნბერგი 2-მა ბოროტება დაუსჯელი არ დატოვოს. ეს ტრიბუნალი კი აუცილებლად გაიმართება, საამისოდ უკრაინელები ძალიან სერიოზულად, საგულდაგულოდ ემზადებიან, დიდი სირთულეების მიუხედავად ადგენენ კონკრეტულ დამნაშავეებს, მათ სამხედრო ნაწილებს, სამოქალაქო მისამართებს.

მტკიცებულებათა მოგროვების პროცესი არ ვრცელდება მხოლოდ რუსულ მხარეზე. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს დმიტრო კულებას ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პირდაპირ ჰკითხეს, იცით თუ არა უკრაინელ მებრძოლთა მიერ რუსი ტყვეების დახვრეტის ფაქტიო, მინისტრმა უხალისოდ, მაგრამ მიუკიბ-მოუკიბავად უპასუხა, ვიციო. ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კიდეც მამხილებელი მასალები. აღმოჩნდა, რომ დახვრეტაში ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი მოხალისე მებრძოლიც მონაწილეობდა, აჩვენეს მისი ფოტოც...

ვრცელდება ცნობები, რომლებიც ახლებურად წარმოგვიჩენენ ამ ომის დასაწყისს. გახმაურდა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველის ოლექსი არესტოვიჩის განცხადება, რომ უკრაინის მთავრობამ ჯერ კიდევ დეკემბერში იცოდა რუსეთის თავდასხმის თარიღი, მაგრამ ეს ამბავი დაუმალა მოსახლეობას, რათა „ყოვლისმომცველი ქაოსი არ გამოეწვია“. თურმე მოსალოდნელი ყოფილა მოქალაქეთა მასობრივი გაქცევა ქვეყნიდან, 8-12 მილიონი ადამიანის ავტომაგისტრალებზე „გამოფენა“ კი შეაფერხებდა სამხედრო ძალების პოზიციებზე მისვლას და ამით კრემლს ხელს შეუწყობდა ბლიცკრიგის განხორციელებაშიო.

პირველი, რაც ამ ინფორმაციის გადახარშვისას მოგივა თავში, ის არის, რომ ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა თავიდან აეცილებინა ომი. ვიღაცამ ისიც კი შეიძლება იფიქროს, რომ მოსახლეობა „ფარად“ გამოიყენეს...

ო. არესტოვიჩმა მოგვიანებით უფრო განავრცო თავისი სენსაციური ინფორმაცია, მისი თქმით ომი კარგა ხანს გასტანს. პუტინის ჯარების მიერ დონბასის ტერიტორიის სრული ოკუპაციის შემთხვევაში უკრაინა მისთვის ბოლომდე იბრძოლებს. ამ დროს ბევრი სისხლი დაიღვრება და გრანდიოზული პრობლემები შეექმნება ეკონომიკას. 2035 წლამდე რამდენიმე სამხედრო შეტაკება გვაქვს გარანტირებულიო, ანუ ერთი შეტაკება ყოველ 2 ან 5 წელიწადში და დიდი შეტაკება 7-8 წელიწადში ერთხელ, უკრაინა ახალი ისრაელიაო (ისრაელმა 5 ომი მოასწრო შექმნიდან-1948 წლიდან დღემდე), არესტოვიჩმა იმ მოქალაქეებს, რომლებსაც არ აწყობს პროცესების-ომის ასეთი გაჭიანურება, მოუწოდა დროებით დატოვონ ქვეყანა: ვინც ამისთვის მზად არ არის, ვინც ახლა ყვირის იმაზე, თუ როგორ იცხოვრონ და გაზარდონ შვილები, სჭირდებათ რომელიმე სხვა ქვეყანა, მათთვის არსებობს თბილი ესპანეთი და ბევრი სხვა, იქ წადითო.

მწვავე ფიქრის აღმძვრელი ცნობაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ თავიანთი საქმისა თვითონ იციან. ოღონდ საქმე ის არის, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ინფორმაცია განსჯისათვის, რომელიც თავის დროზე შეუმჩნეველი დარჩა: ომის დაწყებამდე 5 დღით ადრე %19 თებერვალს) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ნატოს ქვეყნებიც ესწრებოდნენ, გერმანიის კანცლერმა შოლცმა პრეზიდენტ ზელენსკის პირდაპირ უთხრა, თუ ნეიტრალიტეტს გამოაცხადებ, დასავლეთსა და რუსეთს შორის მშვიდობას ჩამოაგდებ ანუ თავიდან აირიდებ ომს, რომელიც დიდ უბედურებას მოგიტანსო. ზელენსკიმ მაშინ უარი თქვა ნეიტრალიტეტზე, რასაც დღეს იხვეწება.

უკრაინაში ომის პარალელურად საქართველოს წინააღმდეგ არნახული ჰიბრიდული ომი მიმდინარეობს. გავიხსენოთ განცხადება, რომელიც შეურაცხმყოფელია როგორც მთელი ქვეყნის, ისე თითოეული მოქალაქისთვის. უკრაინის მხარემ მოგვთხოვა მტკიცებულებების წარდგენა მის მიერვე წამოყენებულ ბრალზე, ვითომ კონტრაბანდული იარაღის მარშრუტი გაგვყავს რუსეთის სასარგებლოდ. მტკიცებულებები მოსთხოვო მას, ვისაც წარმოუდგენელ განზრახვას და დანაშაულს აბრალებ, მართლაც სპეციალურად საქართველოსთვის გამოგონილი ნოუ-ჰაუა ამ სფეროში.

აცხადებენ (ვიცე-პრემიერი ირინა ვერეშჩუკი): **„მიზეზი არა გვაქვს არ დავუჯეროთ ჩვენი დაზვერვის ცნობას, მაგრამ ვერ ვიჯერებთ, რომ თქვენ, ქართველები, ჩვენი დები და ძმები საშუალებას მისცემთ, რომ კონტრაბანდისტული არსებით გადინდეს იარაღი, რომელიც კლავს ჩვენს ქალებსა და შვილებს. ნუთუ ეს შესაძლებელია? ჰკითხეთ თქვენს თავს, როგორ მოხდა ასე, რა დავაშავეთ?“**

ვკითხეთ და კონტრკითხვა წარმოგვეშვა: მართლაცდა რა დავაშავეთ, რომ ასეთი ბინძური რამ დაგვაბრალეს და ისევ ჩვენ გვიბრძანებენ თავის გამამართლებელი დოკუმენტები წარმოვადგინოთ? ამაზე თვით კელი დეგნანს, საქართველოში ამერიკის ელჩს აეშალა ნერვები, ეს სერიოზული ბრალდებაა და მისი განხილვა მედიაში კი არა, სპეცსამსახურების კოორდინაციით უნდა ხდებოდესო.

ახლა რაღაც სინათლე გამოჩნდა გვირაბში, არა ბრალდების გასაქარწყლებლად, არამედ ამ და სხვა ბრალდებებზე უშუალოდ, ტეტ ა ტეტ სალაპარაკოდ. ნაცპარტიის დიდი კაპასობის, ღრიანცელის მიუხედავად უკრაინაში გაემგზავრა საქართველოს პარლამენტის ინტერპარტიული დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის მეთაურობით, ომის საშინელი შედეგების მოსახილველად და თანაგრძნობისთვის და სხვა საკითხებზე სამსჯელოდ. აქ საინტერესოა, რომ ოპოზიციამ ამ დელეგაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ქოცებთან ერთად ვერ ვიმგზავრებთო...

უკანასკნელ ჟამს გაირკვა, რომ წასვლაზე უარი საფრთხისთვის თავის არიდება ყოფილა. თურმე დელეგაციის წინააღმდეგ მზადდებოდა რაღაც პროვოკაცია ჩასვლის შემდეგ, რის შესახებაც უმალ ეცნობა უკრაინის მხარეს ზომების მისაღებად. მოკვლევა დაიწყეს ჩვენმა სპეცსამსახურებმაც.

მოდი და ნუ გადაირევი! თქვენთან ერთად არა, ჩვენ ცალკე წავალთო. აღმოჩნდა, ოფიციალურ დელეგაციას ჩაასწრეს კიდეც! ფოტოსურათზე ჩანან ყურებამდე ტუჩებგახეული ნიკა მელია, ეკა ხერხეულიძე, კობა ნაყოფია, გიორგი მარგველაშვილი (ჩვენი ხვითო მეოთხე პრეზიდენტი ზეობის ჟამს გამოჩენილი უნიათობის საკომპენსაციოდ ახლა პირდაპირ დანას ეხევა ნაცებისთვის ძმობის დასამტკიცებლად).

რაც შეეხება ვიზიტს. კიევში ჩვენი დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს. სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია იმ სურათისა, რომელიც იხილეს ბუჩაში, ირპენში, ბოროდიანსკსა და კრამატორსკიში. რუსეთმა უნდა დაასრულოს ეს ომი, პატივი სცეს უკრაინის თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობასო, განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ამ ვიზიტის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში პირადად გაავრცელა მასპინძელმა, უკრაინის რადას თავმჯდომარემ რუსლან სტეფანჩუკმა ასეთი სიტყვებით: „საქართველო არ დაეხმარება რუსეთს, დაასკვნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, როცა საკუთარი თვალით ნახა დანგრეული ქალაქები, თითქოს სარკეში ჩანს რუსული ჯარის ნამდვილი სახეო“.

ომი კი ახალ, მეორე, უფრო საშიშ, მძვინვარე ფაზაში შევიდა.

უკრაინა მომხვდურს თავს აკლავს, სისხლისგან იცლება, მაგრამ ქედს არ იხრის. ამბობენ, უკვე 11 მილიონმა ლტოლვილმა დატოვაო სამშობლო, მათი ნაკადი მოაწყდა საქართველოსაც. კილომეტრიანი რიგები დგას ლარსის საბაჟოსთან. აღმოჩნდა, რომ საქართველო პირველია იმ 191 ქვეყანას შორის, ვინც უშურველი დახმარება აღმოუჩინა მებრძოლ უკრაინელებს, 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაუგზავნა მათ. ალალი იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით საყვედურის მღვრიე ნაკადი არ შენელებულა. იქნებ შალვა პაპუაშვილის და დელეგაციის ვიზიტმა მართლაც შეასუსტოს ეს უკეთური ნიაღვარი.

სხვათა შორის ბოლო დღეებში უკრაინის პრეზიდენტმა სხვა „არაკეთილმოსურნეც“ გამოარჩია და შეუტია. ეს უნგრეთი და მისი პრეზიდენტი ვიქტორ ორბანი გახლავთ. მიზეზი: უნგრეთი არ ეთანხმება რუსეთის მიმართ დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს, წინაალმდეგია შეზღუდოს რუსეთიდან ნავთობისა და გაზის იმპორტი, რაც უმძიმეს დარტყმას მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას, უარს აცხადებს თავისი საზღვრის გამოყენებით უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში უნგრეთის ელჩი დაიბარეს და ლამის დედა აგინეს მისი ქვეყნის ასეთი „მოღალატური“პოზიციის გამო.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტელეგამოსვლისას ნაჯახივით მოჭრა, ორბანს არჩევანის გაკეთება მოუწევს რუსეთსა და სხვა მსოფლიოს შორისო, უნგრეთის ლიდერს მოსკოვის ეშინიაო. არადა 3 აპრილს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ ორბანმა მეოთხე ვადით გაიმარჯვა, რაშიც მას უთუოდ სწორედ ეს პოზიცია დაეხმარა, პოზიცია სამშობლოს ბედზე ფიქრისა და რუდუნებისა.

ვაშინგტონიც ფხიზლად აყურადებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ქვეყნების დამოკიდებულებას. მაგალითად, უკმაყოფილოა ინდოეთის პოზიციით. აშშ ლამის თავის თავს გადაახტეს, ისეთ ზომებს იღებს, ისე დაჰგურგურებს მებრძოლ უკრაინას. სენატმა ერთხმად დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც 1941 წელს მიღებული „ლენდ ლიზის“ მსგავსია. იგი პრეზიდენტ ჯო ბაიდენს საშუალებას მისცემს უკრაინას შეუზღუდავად გაუგზავნოს იარაღი, „რადგან უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ჯარს“. დასავლეთის გაზეთები წერენ, „ლენდ ლიზის“ ახლა ამუშავება იმის მანიშნებელია, რომ აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები უკრაინაში რუსეთის ჯარის შეჭრას განიხილავენ როგორც „ეგზისტენციალურ საფრთხეს ლიბერალური წესრიგისთვისო“.

ამით ბევრი რამ არის ნათქვამი.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი იჭაჭება, უკრაინაში რუსეთის სპეცოპერაცია მოწოდებულია წერტილი დაუსვას აშშ-ს დომინირებასო.

უკრაინა კი იბრძვის. მთელი აღმოსავლეთის ფრონტი ცეცხლის ალშია გახვეული. საყურადღებო ცნობა: ამ დღეებში ჩაძირეს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, მრისხანე კრეისერი „მოსკოვი“. ვერა და ვერ გატეხეს ალყაშემორტყმული მარიუპოლი. კიევი უბრუნდება ნორმალური ცხოვრების რიტმს, ამუშავდა თავშესაფრად ქცეული მეტროპოლიტენი, ქვეყანაში მიმდინარეობს ქუჩებისთვის სახელის გადარქმევის ნიშანდობლივი კამპანია, რათა რუსეთის სახსენებელიც კი ამოძირკვონ. მაგალითად, ქალაქ ივანო-ფრანკოვსკის საქალაქო საბჭომ უკვე 25 ქუჩას გადაარქვა სახელი, მათ შორის: მენდელეევის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, ტოლსტოის, ჩაიკოვსკის, სახაროვის ქუჩებს. უკრაინის გამარჯვებისთვის ვიბრძვით და არ უნდა დავუშვათ,რომ მომავალში ჩვენს სახელმწიფოში იხსენიებდნენ და პატივს მიაგებდნენ მოსკოველ თუ რუს მეცნიერებს, მწერლებს, პოლიტიკურ მოღვაწეებსო. მანამდე ლვოვშიც განაცხადეს, რომ იმავე მიზეზით სურთ სახელი შეუცვალონ 30-მდე ქუჩას. რას იზამ, ეს პროცესი თბილისში გავლილი გვაქვს კარგა ხნის წინათ!..

დაბოლოს, კიდევ ერთი დამაინტრიგებელი ინფორმაცია. ბაკურიანში გაიმართა ორდღიანი შეხვედრა-სწავლება...ხელისუფლების მშვიდობიანად დამხობის საკითხზე. ესწრებოდნენ ოპოზიციის, ენჯეოების და ოპოზიციური მედიის სპეციალურად შერჩეული წარმომადგენლები. სწავლებას წარმართავდა ამერიკის მოქალაქე, ფინანსისტი, არაძალადობრივი, სამოქალაქო პროტესტით ხელისუფლების დამხობის ცნობილი სპეციალისტი, წიგნი-სახელმძღვანელოს **„როგორ დავამხოთ ტირანია“** ავტორი პიტერ აკერმანი (სწორედ ის გახლავთ სერბეთში, ვენესუელაში სახელისუფლებო ცვლილებების აღმძრავი ღვედი), ის აორგანიზებს, ასწავლის, რეკომენდაციებს გასცემს, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლების არაძალადობრივად შეცვლა, საამისოდ როგორ უნდა გამოიყენონ არსებული საზოგადოებრივი უკმაყოფილება.

ჩვენი სპეცსამსახურები ამ შეხვედრით დაინტერესდნენ და, იმედია, შევიტყობთ, რა ჯანდაბას გვიპირებენ „ხელისუფლებით უკმაყოფილონი“, მათთვის მოხერხებულ დროს. და, საერთოდ, როდის მოეღება ბოლო ამ უკულმართ „სწავლებებს“, მავნე „რევოლუციურ ცდებს“...

ალეკო ასლანიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

2022 წლის 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩეულ იქნენ:

1.	გივი გავარდაშვილი	სპეციალობა - ჰიდრომელიორაცია
2.	რამაზ გახოკიძე	სპეციალობა - ბუნებრივ ნაერთთა ქიმია
3.	თენგიზ ზაალიშვილი	სპეციალობა - მოლეკულური ბიოლოგია
4.	ჯაბა სამუშია	სპეციალობა - საქართველოს სამხედრო ხელოვნება და არქიტექტურა
5.	მინდია უგრეხელიძე	სპეციალობა - სამართალმცოდნეობა
6.	ქართლოს ყაჭიაშვილი	სპეციალობა - ინფორმატიკა
7.	მიხეილ ჯიბუტი	სპეციალობა - საქართველოს ეკონომიკა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

პაოლო იაშვილის მშობლიური სახლი – ახალი კულტურის კერა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი საჩხერის მუნიციპალიტეტს ესტუმრა, სადაც სახელმწიფო რწმუნებულთან იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძესთან, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან ივანიშვილთან, მერიის წარმომადგენლებთან და პაოლო იაშვილის შთამომავლებთან ერთად დიდი ქართველი პოეტის სახლ-მუზეუმს ეწვია.

მათივე ინფორმაციით, მინისტრმა დაათვალიერა სახლ-მუზეუმის შენობა და პაოლო იაშვილის შთამომავლებისგან, გიორგი და მერაბ ნიჟარაძეებისგან მიიღო ინფორმაცია მუზეუმის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ. ამასთან, მუზეუმში გაიმართა საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული, კალიგრაფიის ყოველწლიური კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება, რომელშიც თეა წულუკიანმაც მიიღო მონაწილეობა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტრო დედა ენის დღეს აღნიშნავს საჩხერის მერიასთან ერთად, პაოლო იაშვილის მშობლიურ სახლში.

„წელს პაოლო იაშვილს 130 წელი უსრულდება და ჩვენ ვიწყებთ მუშაობას ადგილობრივ ხელისუფლებასა და პაოლო იაშვილის შთამომავლებთან ერთად იმისათვის, რომ სწორედ ამ საიუბილეო წელს მუზეუმი, რომელიც მუნიციპალიტეტის დიდი ძალისხმევით რესტავრირდა, შეივსოს სამუზეუმო ექსპონატებით. ეს მუზეუმი გახდება კერა, რომელიც მიიღებს ქართველ მწერლებს და არა მხოლოდ მათ. სიმბოლურია, რომ დღეს ამ სახლში მუნიციპალიტეტმა მოაწყო კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და ჩვენ წილად გვხვდა პატივი, რომ ამაში მიგვეღო მონაწილეობა. კულტურის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს არა მხოლოდ ამ სახლ-მუზეუმის ექსპოზიციით შევსებისთვის, არამედ იმისათვის, რომ პაოლო იაშვილის შემოქმედება და მისი ძალიან დიდი წვლილი ქართული მწერლობის განვითარებაში იყოს სათანადოდ დაფასებული და რაც მთავარია, მის გარშემო იყოს მხოლოდ ფაქტები, რეალური ფაქტები და ის, რითაც მომავალმა თაობებმა უნდა იამაყონ“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სტიქიების პრემიერა – „მედეას ბურკა“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, 16 აპრილს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ინსტალაცია-პერფორმანსის „მედეას ბურკა“ პრემიერა გაიმართა. ექსპოზიცია-პერფორმანსის პრემიერას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი დაესწრო.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ექსპოზიცია-პერფორმანსს წარადგენს შემოქმედებითი კავშირი „ვან ენდ არტი“ და დამთვალიერებელს მისი ხილვა 22 აპრილამდე შეუძლია. უწყების ცნობით, ექსპოზიცია-პერფორმანსი მოიცავს ინსტალაციას, ვიდეო ნამუშევარს, სკულპტურას, პიესა-საინტერპრეტაციო ტექსტსა და მუსიკალურ ნაწილს. „მედეას ბურკა“ ოთხ სივრცეში იქნება წარმოდგენილი, რაც, ასევე, პერფორმანსის ექსპოზიციური ნაწილია. დამთვალიერებლებს დღის განმავლობაში საშუალება ექნებათ ექსპოზიციის ნაწილი იხილონ, ხოლო საღამოს საათებში დაესწრონ ამ საექსპოზიციო ინსტალაციაში გამართულ პერფორმანსს. ინსტალაცია-პერფორმანსის „მედეას ბურკა“ რეჟისორია იოანე (ვანო) ხუციშვილი, ხოლო მხატვარი – შოთა ბაგალიშვილი, მუსიკალური გაფორმება – გიორგი ჯიქია, პერფორმერი – ენდი ძიძავა, თარგმანი – სოფიო შამანიდი, ეროვნული გალერეის კურატორი თამარ ლომსაძე.

„მედეას ბურკა“ წარმოადგენს მედეას ახლებურ გააზრებას, რომელიც ეყრდნობა ბერძენი დრამატურგის ანდრეას ფლურაკისის ამავე სახელწოდების მონო-პიესას. მისი მთავარი კონცეფციაა მედეას და მედეას ბურკის სხვადასხვა სტიქიებით გააზრება, მედეა, როგორც სტიქია და მედეას ბურკა, როგორც სტიქიები (მიწა და წყალი).

◎ მეცნიერის აღიარება

მოწოდების ერთგული

ალბათ, გემახსოვრებათ ბუნების მესაიდუმლე მიხეილ მამულაშვილისადმი მიძღვნილი პოპულარული დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ყვავილებთან“. რატომღაც მისი სახელწოდების პერიფრაზირების სურვილი გაგვიჩნდა, რათა შეძლებისდაგვარად ღირსეულად შეგვეფასებინა ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის ჟა-ჟა დანელიას ჟურნალისტური მოღვაწეობის 50-წლიანი სტაჟი და თავს უფლებას ვაძლევთ იგი ასეთი სახით შემოგთავაზოთ: „ნახევარი საუკუნე სამამულო პრესაში“.



დაუმატეთ ამას 40-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური წვა და დაგვა, რაც დაგარწმუნებთ, რომ მან სავსებით დაიმსახურა ის რეგალიები, რომლებითაც ყველა წიგნიერი ქართველი სწავლული იამაყებდა.

და აი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის მორიგი პატივგება – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ (საპატიო პრეზიდენტი – აკადემიკოსი **ნათელა ვასაძე,** პრეზიდენტი – პროფესორი **ზურაბ ხონელიძე)**, ვაჟა დანელია აკადემიის წევრად – აკადემიკოსად აირჩია!

როგორც შევიტყვეთ, **31 სამეცნიერო ნაშრომის, ლექსების, მოთხრობა-ნოველების კრებულისა და 19 წიგნის ავტორი, მათ შორის „სპორტის ჟურნალისტიკის საკითხებისა“, რომელიც ამ სფეროში პირველი სამეცნიერო ნაშრომთა ნაზრევია, მალე საიუბილეო – მე-20 წიგნითაც გაგვამდიდრებს.**

12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე მუდამ დროის სიმცირეს უჩივის, მაგრამ მაინც ასწრებს ილიაუნში, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა (სეუ) და სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯში“ სტუდენტთა საყვარელ ლექტორობას, სადაც აკადემიურ წერასა და სპორტის ჟურნალისტიკას ჩვეული რუდუნებით ასწავლის.

მალე სანიმუშო ეგრისელს მრგვალ თარიღს მივულოცავთ, დღეს კი მისი გააკადემიკოსებით გავიხაროთ!

„სრ“ რედაქცია

ქვემო ნოღაში აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი განახლდება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნოღაში მდებარე მძიმე მდგომარეობაში მყოფი აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის შენობის რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, პროექტი მომზადდება.

სამინისტროს განცხადებით, შესაბამისი ტენდერი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკვე გამოაცხადა. რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 29 661 ლარს შეადგენს.

საპროექტო დოკუმენტაციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოწესრიგდება ეზოს ტერიტორია. შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბალანსზეა. ძეგლის რესტავრაციისას მაქსიმალურად შენარჩუნდება და აღდგება მისი იერსახე. დეტალურად დადასტურდება, აიზომება და ფოტომასალაზე აისახება ყველა არქიტექტურული ელემენტი შენობის ექსტერიერსა თუ ინტერიერში. გატარდება ძეგლის და მისი გარემოს არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელი ყველა ღონისძიება.

ქართველი ფილოლოგისა და ენათმეცნიერის აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმი მეცნიერის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1987 წელს გაიხსნა და სავარაუდოდ, ამავე პერიოდში უნდა იყოს აშენებული. დღეის მდგომარეობით, შენობა დაზიანებულია. სამუზეუმო ნივთები დროებით გატანილია შენობიდან. როგორც ექსტერიერში, ასევე ინტერიერში ამორტიზებულია ხის ელემენტები, დაზიანებულია აივნის ბაქანი, რიკულები და შესასვლელი კიბე, კოროზიულია კედლები, იატაკი, ასევე დაზიანებულია მონოლითური სვეტები.

„ბედნიერი ვარ, რომ გახარებთ სტრიქონი ჩემი“...

რეზო ამაშუკელი – საქართველოს გულმხურვალე ჭირისუფალი

ჩვენი დიდებული, მუდამ მღელვარე, დაუცხრომელი პოეტი რეზო ამაშუკელი და მე ფალიაშვილზე, ვცხოვრობდით ჩემზე 6 წლით იყო უფროსი, მაგრამ ეს მეგობრობაში ხელს სულაც არ გვიშლიდა. მამამისს საქმიანი კაცის რეპუტაცია ჰქონდა – წარმატებული კომერსანტი იყო (მაშინ „დელეცს“ რომ ეძახდნენ), რაც მაშინდელ დროში სულაც არ გახლდათ იოლი... მათი ოჯახი შეძლებული იყო.

ვიცოდით, რეზო ლექსებს რომ წერდა. ზოგჯერ ჩვენც გვიკითხავდა. მაშინ ბევრი რამ არც იმ ლექსებისა გვესმოდა და არც ის ვიცოდით, ჩვენს უფროს მეგობარს ეს გატაცება როდემდე გაჰყვებოდა.

როგორ წარმოვიდგენდით, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული პოეტი გახდებოდა...

ერთმა გარემოებამ მე და რეზო კიდევ უფრო დაგვაახლოვა (ამაში, გარკვეულწილად, ლექსებსაც მიუძღვოდა ბრალი!) – ისეთი საიდუმლო საქმე მომანდო, ყველას რომ არ გაუმხელენ... შვიდი-რვა წლის ვიქნებოდი. უფროსი მეგობრის ნდობა რომ მოვიპოვე, გამიხარდა, ეს მაშინ ბევრს ნიშნავდა!

ჩვენს სადარბაზოში აბაზაძეების ოჯახი ცხოვრობდა. პოლკოვნიკი ვლადიმერ აბაზაძე ადმინისტრაციული ორგანოების საზედამხედველო სამმართველოს უფროსი გახლდათ. ეს ძალიან მაღალი თანამდებობა იყო, მანქანა ემსახურებოდა. განათლებული და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა და მეზობლებიც დიდ პატივს სცემდნენ. მისი მეუღლე, ჩინებული ექიმი ირა ლობჟანიძე, „ლეჩკომბინატში“ მუშაობდა. ულამაზესი ქალი იყო, გემოვნებით იცვამდა. ჩვენს ოჯახებს შორის, გამორჩეულად კეთილმეგობრული, თითქმის ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. რაიმე რომ წამომტკივდებოდა, დედა ირას დაურეკავდა და ისიც მაშინვე მობრძანდებოდა თავისი თვალისმომჭრელი კიმონოს ფრიალით. ჩემი საწოლის კიდეზე კოხტად ჩამოჯდებოდა. მის ყურებას არაფერი ჯობდა. დავინახავდი თუ არა, სიცხეც უმალვე დამიწევდა და თავის ტკივილიც გამივლიდა! ერთი სიტყვით, ეს ულამაზესი ქალბატონი ჩემი უებარი მკურნალი იყო.

რეზომ სწორედ ამ ოჯახის ერთადერთ ქალიშვილს – ლილი აბაზაძეს დაადგა თვალი. მართლაც ანგელოზივით გოგო იყო, დედამისივით მომხიბვლელი და სათნო. დედ-მამაც, ბებია-ბაბუაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სკოლაში „ემადინით“ დაჰყავდათ. ეზოში რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ვინმე უნდა ხლებოდა. ჰოდა, აბა, სად შეეძლო რეზოს მისი დამარტოხელება?

საგანგებოდ გამიხმო ერთხელ ეზოს კუთხეში, ჭადრების ჩრდილში გამომცდელად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მკითხა:

– ლილის ხომ იცნობ, მაგათთან სახლში ხომ დადიხარ?

დავუდასტურე, ვიცნობ და დავდივარ-მეთქი.

მაშინ, აი, ეს გადაეცი. არც არავის აჩვენო და არც შენ წაიკითხო, პირადად გადაეცი! გაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა.

პატარა კი ვიყავი, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ რეზომ ძალიან დიდი საიდუმლო გამანდო და ახლა ჩემს მოხერხებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წერილი გამოვართვი და დავალების შესასრულებლად გავწიე...

* * *

ახლაც კარგად მახსოვს, აბაზაძეების კარებზე მიმაგრებული ხელით დასატრიალებელი პატარა ზარი უცნაურ წრიპინა ხმას გამოსცემდა. დავრეკე და კარის გაღებას დაველოდე. ბებია ჰყავდა ლილის, ოლა - ყორანივით შავი, გამხდარი, წელში მოხრილი, ზომაზე მეტად მკაცრი და უცხვირპირო ავლაბრელი ქალი. სულ გვიკვირდა, ასეთ ფერიებთან ამ „ბაბაიაგას“ რა საერთო ჰქონდა... კარი ოლა ბაბომ გამიღო და შინ შემიპატიჟა. ვკითხე, ლილი სად არისმეთქი. მის ოთახში შემიყვანა და თვითონ გარეთ გავიდა. მივიხედ-მოვიხედე, დავრწმუნდი, ოთახში სხვა რომ არავინ იყო და ლილის რეზოს წერილი გადავეცი. თან გავაფრთხილე, შენ წაიკითხე, არავის აჩვენო-მეთქი.

გავიდა დრო. რეზომ კიდევ მომაკითხა და ისევ ლილისთან გამაგზავნა. მაშინ თბილისის უბნებში ასეთი წესი იყო: უმცროსებს უფროსების დავალება უსიტყვოდ უნდა შეესრულებინათ. ეს სულაც არ ნიშნავდა ვინმეს დაჩაგვრას. მეც ამ წესის ერთგული ვიყავი – უფროსი მეგობრის დავალების შესასრულებლად ისევ ხალისიანად გავწიე.

კარი ისევ ოლა ბაბომ გამიღო. ისევ მომეფერა და ლილის ოთახისკენ გამიძღვა. ქალიშვილს წერილი გადავეცი და წამოვედი. მაგრამ როკაში ოლა ბაბო რისი ბაბო იქნებოდა, ჩემი ფრიად ხანმოკლე ვიზიტებისთვის განსაკუთრებული ყურადღება რომ არ მიექცია? „ამ თითისტოლა ბალღს რა საერთო აქვს ჩემს შვილიშვილთან?“ – გაიფიქრა „დომ ჩეკამ“ და ლილის ოთახს ქორივით დააცხრა, იქაურობა გადაატრიალა...

საბედისწერო ლექსები, რა თქმა უნდა, იპოვა. ერთი ამბავი დაიწია საცოდავ გოგოს, მაგრამ გარეგნული სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

და აი, მესამედ მივდივარ საიდუმლო მისიაზე. ისევ არხეინად ვარ, რადგან აბაზაძეების ოჯახში მომხდარის შესახებ არაფერი ვიცი. კარი მესამედაც ოლა ბაბომ გააღო და, ჩემდა გასაოცრად, ძველებურად კი არ მომეხალისა, ქეჩოში მწვდა და შიგნით შემითრია.

გამომიჭირეს...

– აბა, ვაუბატონო, ახლავე ჯიბეები ამოიბრუნე და მაჩვენე, ახლა რაღა მიგაქვს ლილისთან! – დამჩხაოდა ოლა ბებო და გამეტებით მანჯღრევდა, გადმომიტრიალა



ორივე ჯიბე და რეზოს გალექსილი წერილი ცხვირწინ ამიფრიალა: - ამ ლექსების მოსატანად დაძვრებოდი აქ? წადი და თვალით აღარ დამენახო! იმ გიუპოეტას კი გადაეცი, ლილი სამუდამოდ დაივიწყოს, ჩვენ სამაგისო გოგო ჯერ არ გაგვიზრდია!

მტაცა ყურის ბიბილოში ხელი და ლამის ამახია...

ჩემი „გმირობის“ ამბავი ამით არ დამთავრებულა: ოლა დედაჩემთან „ჩამოგოგმანდა“, ლამის მთელი „კორპუსი“ შეყარა, შენმა ომარმა ეს რა გაგვიბედაო. თითქოს რეზოს ლექსები კი არა, აბაზაძეების ოჯახში დინამიტი შემეტანოს! დედა იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ქალი იყო და ვითარებას მაშინვე ალღო აუღო. ოლა დაამშვიდა, მობრძანდება სახლში ეგ უიღბლო „ფოსტალიონი“ და კარგ დღეს დავაყრიო. სუფრასთან მიიწვია. თავისი გაკეთებული გემრიელი საზამთროს და სამოთხის ვაშლის მურაბები, კექსი და ჩაი მიართვა, დააწყნარა.

შინ რომ მივედი, დედა და მამა გულიანად იცინოდნენ, თან მალულად ჩემკენ აპარებდნენ მზერას. გამიხარდა, ორივემ ასე კარგად რომ გამიგო. მართლაც, აბა მე, რეზოს რომანტიკული ახირების უნებური „მსხვერპლი“, რა შუაში ვიყავი...

* * *

კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. რეზო ამაშუკელი ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში, თავმჯდომარის – მამია მეგრელიშვილის თანაშემწედ მუშაობდა. ერთხელაც კომიტეტს გერმანიიდან სტუმრები ეწვივნენ. კომიტეტის თავმჯდომარეს უნდოდა რეზოს მიეღო მონაწილეობა სტუმრების მიღება-გასტუმრებაში.

ბევრი ეძებეს რეზო, მაგრამ ვერსად მიაგნეს. გავიდა ერთი დღე, ორი დღე, რეზო კი არა ჩანს. მამია მეგრელიშვილი იძულებული გახდა გერმანელი სტუმრები თვითონ წაეყვანა არაგვის ხეობის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. აჩვენა მცხეთა, სვეტიცხოველი, ჯვარი, ანანური და ფასანაური. ფასანაურში, რა თქმა უნდა, ხინკალიც მიირთვეს. რესტორნის ეზოში, საგანგებო ვოლიერში დათვი ჰყავდათ გამომწყვდეული. გერმანელი სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს ვოლიერში დათვთან ხელგადახვეული, თეთრი გახეული პერანგითა და დათვის ტორებით დათხვრილი ახალგაზრდა კაცი, არყის ბოთლით ხელში... დათვი ბოთლიდან ლიმონათს მიირთმევდა, კაცი – არაყს! მამია მეგრელიშვილი გადაირია: „რეზო, გაგიუდი ბიჭო! მანდ რა გინდა, ორი დღეა მთელი კომიტეტი გეძებს“... როგორც გაირკვა, მთელი ის ორი დღე, კომიტეტის თანამშრომლები თავქუდმოგლეჯილები რომ დაეძებდნენ, რეზო იმ დროს არაგვის ხეობაში დათვთან ქეიფობდა.

დიდი ხანი არ არის რაც რეზო ჩემი ბავშობის, სიყრმის და მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგული მეგობარი, თბილისის მშობლიურ მიწას მივაბარეთ. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სათაყვანებელი სამშობლო, თავისი ხალხი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე... მტკივნეულად გულის სიღრმემდე განიცდიდა საქართველოს დღევანდელ აწეწილ მდგომარეობას. ნერვიულობდა, ბოგოქრობდა თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილი, აღიარებული უბადლო სიტყვის და შეუდარებელი რითმის ოსტატი, მრავალი შედევრის შემოქმედი. რეზო საქართველოს გულმხურვალე ჭირისუფალი იყო.

ძალიან მიყვარდა რეზოსთან ქეიფი, ის შესანიშნავი თამადა იყო. არაჩვეულებრივი იუმორი ჰქონდა. ლექსსაც თუ წაიკითხავდა, დამსწრე საზოგადოება ნეტარებდა. უფლის სასუფეველი ჰქონდეს მარადის. ის ჭეშმარიტად იმსახურებდა მთაწმინდას მაგრამ... ალბათ, მაგის დროც მოვა-მაგნაირებს მოვსწრებივართ?!.

რეზომ ჩემს მეუღლეს მიუძღვნა შესანიშნავი ლექსი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ომარ მარგველაშვილი

ღალატში ვგულისხმობ: ყოველ წელს, 9 მაისს, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში იმართება (იმართებოდა) გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პარადი, – იმართება (იმართებოდა) როგორც სამხედრო აღლუმი, ასევე მშრომელთა დემონსტრაცია. ეს კარგი და მისასალმებელია, როცა ქვეყანა არ ივიწყებს თავის ისტორიას და მართლაც ფაშიზმთან სასწაულებრივ გამარჯვებას ზეიმობს. რუსებს ახლაც კი უკვირთ სტალინური არმიის გამარჯვება გერმანელებთან. ახლა აანალიზებენ ამ გამარჯვების „საიდუმლოს“. ამის შესახებ წერილი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტამ“, „სასწაული ძლევისა“, რომელიც გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკამ“, იქიდან „ბორჯომმა“ გადმობეჭდა. და, აი, იმ დროს იმ ხალხში რომ ჩამოფრენილიყო, ვთქვათ, უცხოპლანეტელი და ეკითხა: ვისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვეთ ამ გრანდიოზულ ომში, მისი ერთი სურათი მაინც სადმე რატომ არ ჩანსო? – რასაკვირველია, პუტინს და მის გარემოცვას ენა მუცელში ჩაუვარდებოდა! მაგრამ იქ მდგარი ხალხისათვის რომ დაესვა ის „უჩინმაჩინს“ იგივე კითხვა, დარწმუნებული ვარ, ხალხის პასუხი – შეძახილი „სტალინის ხელმძღვანელობით!“ – შეარყევდა წითელ მოედანსაც და კრემლის კედლებსაც!

აბა, რა ეგონა პუტინს, სტალინს რომ ღალატობდა?!

პუტინი ყოველთვის სიტყვას წარმოთქვამს ამ დღესასწაულზე და ერთხელაც არ ახსენებს სტალინს; „ხალხმა გაიმარჯვა ამ ომშიო“. ის მართალია, მაგრამ მთაში 6 წლის ბავშვმაც კი იცის, რომ ფარას თუ ვაცი არ წაუძღვა წინ, კლდეზე გადაიჩეხება! როცა გამარჯვების სულის ჩამდგმელს არ ასახელებ, ეს ხომ ისტორიის დამახინჯებაა? ვინ ჩაჰბერა მაშინ მეომრებს გმირული სული, როცა ამბობდა: **„ჩვენი საძმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთო!“?** ვინ ჩაატარა 1941 წლის სუსხიანთოვლიან 7 ნოემბერს წითელ მოედანზე სამხედრო პარადი, როდესაც მტერი მოსკოვთან 20 კილომეტრში იყო მომდგარი და მეომრები პარადიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ? გამარჯვებას ზეიმობ და გამარჯვების მომპოვებელს არ ასახელებ? ასეთი კურიოზი შეიძლება სხვაგან სადმე ხდებოდეს? (ჟუკოვზე აკეთებენ აქცენტს, „გამარჯვების მარშალიო“, იმიტომ რომ რუსია! ეს ის ჟუკოვია, ბერლინის აღების შემდეგ ვაგონებით ოჯახისთვის რომ წამოიღო ნაძარცვი ფასეულობა!)

მაინც რა ისეთი ტაბუ დაადეს სტალინის სახელს, რომ არ იხსენება იგი არც ხრუშჩოვის შემდეგ კრემლის პოლიტიკურ მმართველობაში? მის სისასტიკესთან ერთად (რომელიც მეტწილად სამართლიანი იყო!) **მთავარი მიზეზი არის ის, რომ იგი არის (იყო) ძართველი!** აქ გამოჩნდა პუტინის (სხვა ხელმძღვანელების ველიკორუსული შოვინიზმი. და ეს მაშინ, როდესაც სტალინმა რუს ერს **„დიდი რუსი ერი“** უწოდა და ამბობდა: როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მე აღმზარდა რუსმა ხალხმაო. საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ერების ერთობა და ძმობა საარაკო იყო და სწორედ ამ ერთობამ გაიმარჯვა დასახელებულ ომში. (სტალინისადმი პუტინის ღალატის გამოვლინებაა ისიც, რომ საქართველოში, ცხინვალის რეგიონში შემოიჭრა, უვიც სეპარატისტებს მხარი დაუჭირა და ქართველების და ოსების ისტორიული ძმობა შუაზე გახლიჩა!)

ეს სამარცხვინო შოვინიზმი კი დაიწყო 1956 წლიდან, როდესაც ბოროტმა, ამპარტავანმა და შოვინისტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაგმო სტალინის მოღვაწეობა. შემდეგ სტალინი მავზოლეუმიდან გამოასვენეს და კრემლის კედელთან დაკრძალეს. კიდევ კარგი უბრალო რუსი ხალხი პუტინივით და მისი წინამორბედივით ასე არ ფიქრობს და კრემლის კედელთან სტალინის ძეგლის გარშემო ყვავილების თაიგულების მიტანა არ წყდება. (ვეთანხმები აზრს, რომ 1941-1945 წლის ფაშისტებთან ომი მოიგო ორმა ქართველმა: იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ!) კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი ქვეყნის არც ერთ მმართველს სიკვდილის შემდეგ იმდენი ცრემლი არ დასდენია, რამდენიც სტალინს დაადინეს საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში! სანამ სტალინის ღვაწლს და სიდიადეს არ გააცნობიერებენ რუსეთის ხელმძღვანელები (ასევე საქართველოშიც!), მანამდე ვერ ჩამოირეცხავენ უმადურობის ლაქას!

სტალინის უარყოფის გამო შეილანძღა სოციალისტური წყობილების არსი, თანდათან დაეცა ზნეობა, აყვავდა კორუფცია და დაიშალა საბჭოთა კავშირი. (აღარაფერს ვამბობ პოლიტბიუროში მოკალათებულ მოღალატეებზე). ბუნებრივია, ასეთ ქვეყანაში დაეცა ჯარისკაცთა მებრძოლი სულისკვეთება და მორალი, რომელიც გადმოყვა რუსეთის ჯარსაც. ლოთი ელცინის შემდეგ მოვიდა „კაგებეშნიკი“ პუტინი. მან ბევრი რამ გააკეთა რუსეთის გაძლიერებისათვის, კარგად „წველა“ რუსეთის ბუნებრივი რესურსებით გამდიდრებული და სოკოებივით მომრავლებული მილიარდერები (მდიდრებს, ბურჟუებს ხომ ისედაც ეჯავრებათ და ეჯავრებოდათ ღარიბი სტალინი), ახალი ტექნიკური მიღწევებით შეაიარაღა ჯარი, მაგრამ ბერიას „მოწაფეს“ „გამორჩა“ ჯარისკაცების და ოფიცრების სტალინისდრო-ინდელი სულისკვეთებით აღზრდა. ფუფუნებას გადაყოლილი სამხედრო და პოლიტიკური ელიტა „ვეღარ ამჩნევდა“ ჯარის ხელმძღვანელობის ქვედა რგოლებში გამეფებულ კორუფციას და, საერთოდ, მებრძოლებში ურაპატრიოტიზმის გაძლიერებას. კიევისკენ დაძრული და 60 კილომეტრზე გაჭიმული სამხედრო კოლონა მთელი ერთი კვირა ერთ ადგილზე იმიტომ გაიყინა, რომ საწვავი გამოელიათ, რომელიც „კორუფციულად“ გაყიდული აღმოჩნდა (!) (ლოჯისტიკური კუთხით ეს რა მართვა-ხელმძღვანელობაა, კაცი ვერ გაიგებს). ეს კოლონა, აგრეთვე სხვა მოტორიზებული შეიარაღებები კარგი სამიზნე აღმოჩნდა მაღალპროფესიონალი უკრაინელი (შეიძლება საიდუმლოდ უცხოელი ინსტრუქტორებიც ეხმარებოდნენ და ეხმარებიან) არტილერისტებისათვის (უკრაინაში რამდენიმე საარტილერიო სასწავლებელი არსებობს) და ადგილზე დაადულეს ეს ტექნიკა, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენეს რუსეთის ჯარს. ომამდე უკრაინის საზღვრებთან ორი თვე ვითომ „წვრთნებს“ ატარებდნენ და რუსი ჯარისკაცები საშინელ ყინვაში იმყოფებოდნენ. ბევრი თბილ „პალატკებშიც“ ვერ იძინებდა, რადგან ნაწილი გაყიდული აღმოჩნდა(!). ყინვისგან და უაზრო „წვრთნებისგან“ დაღლილ-დაქანცულმა ჯარისკაცმა რა ომი უნდა მოიგოს? რუსეთის ჯარში, აგრეთვე უკრაინაში, რუსულ მოსახლეობაში აუცილებელი წინასაომარი აგიტაცია-პროპაგანდა ნულის ტოლი იყო! რუსი ჯარისკაცები (ცხადია, ნაწილი) ამბობდნენ, რომ არ ვიცოდით, თუ უნდა გვეომაო(!). უკრაინელი, რუსი თუ არარუსი ლტოლვილები ამბობდნენ, რომ „ვერ გავიგეთ, რისგან გვიცავს რუსეთიო“(!)

პუტინი ტელევიზიით გამოდის (გამოვიდა) და უკრაინული ჯარის მაღალჩინოსნებს მიმართავს: ეგ ნაცისტი და ლიბერალი ზელენსკი როგორ ვერ უნდა მოიშოროთო! გვიანი იყო! „კბილების ღღჭიალით“ სამხედრო ელიტაში „აჯანყებას“ (გადატრიალებას) ვერ მოაწყობ. ისინი ადრევე იდეურად „დამუშავებულნი“ უნდა ყოფილიყვნენ! (როგორც ეს გააკეთეს ამერიკელებმა ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში და გადატრიალებები მოაწყეს). გარდა ამისა, მთელი მოსახლეობა „დიდება უკრაინის“ ძახილზე ერთიანად აღსდგა უცაბედად მომხვდური მტრის წინააღმდეგ. საოცარია და სტალინური თავდადება და თავგანწირვა აგრეთვე სტალინთან მებრძოლი ბანდერების შემორჩენილი სულისკვეთებაც! (მამაკაცები საომრად დარჩნენ, ქალები, ბავშვები და მოხუცები გახიზნეს)

პუტინს თავისი გარემოცვა არ ურჩევდა უკრაინაში შეჭრას. სტალინი კი ჯერ სხვებს უსმენდა და მერე იღებდა გადაწყვეტილებას. ტელევიზორში ჩემი თვალით ვუყურე, პუტინი უშიშროების სამსახურის უფროსს ეკითხებოდა: ხომ კარგი იქნება, უკრაინაში შევიჭრათო. ამ კაცმა მიკიბულ-მოკიბულად დაიწყო ლაპარაკი, აშკარად ჩანდა, არ იყო თანახმა (ალბათ იცოდა, ჯარი რომ დემორალიზებული იყო), მაგრამ პუტინმა აიძულა, დათანხმებულიყო. თუ სტალინს უწუნებ დიქტატორობას და სისასტიკეს, თვითონ რატომ ხარ ასეთი?

მე არ ვამბობ, რომ რუსეთს უკრაინაში შეჭრის მიზეზები არ ჰქონდა (იქ მართლა ფაშისტური ნაციზმი და ნეოლიბერალიზმი ყვაოდა და ნატო რაკეტების განლაგებას აპირებდა). მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სხვა დროს და ჯარიც მართლაც სტალინური მებრძოლური სულისკვეთებით უნდა მომზადებულიყო (მხოლოდ ლაჩრები მიმართავენ ომში გენოციდს. როგორ შეიძლებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ასე ბარბაროსულად დახოცვა?)

ახლა ამერიკა და თითქმის მთელი ევროპა აწვდის იარაღს უკრაინას, რუსეთს კი უამრავ სანქციას უწესებენ. ახლანდელი ომი თვისობრივადაც სხვანაირია. ომს იგებ „დრონებით“ და ავტომატიზირებული მართვის ზუსტი საარტილერიო და სარაკეტო დარტყმებით. რუსეთს თუ ჩინეთი და აზიის სხვა ქვეყნები არ დაეხმარნენ ეკონომიკით და შეიარაღებით, ჩემი აზრით, გაუჭირდება დონბასის და ლუგანსკის შენარჩუნებაც კი და შეიძლება ყირიმიც დაკარგოს!

კიდევ ვიმეორებ: ადრეულმა და ახლანდელმა მმართველმა ელიტამ სტალინს რომ ულალატა (ასევე სოციალიზმსაც), ამიტომაა რუსეთი ამ დღეში! (თუმცა უბრალო ხალხს არ ულალატია და ნუთუ დაუბრუნდება მათ მეომრებს „ძველი“ მებრძოლური სულისკვეთება? მაგრამ - როდისღა?) და ამ დღეში იქნებიან, სანამ ქალაქ „ვოლგოგრადს“ „სტალინგრადის“ სახელს არ დაუბრუნებენ!

რუსი ჯარის უძლეველობის მითი დაიმსხვრა!

მე ეგ მაფიქრებს: ამდენი მარცხისგან გაგიჟებულმა პუტინმა ატომურ ღილაკებს არ დააჭიროს ხელი!

უშანგი ჯანგირაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ქ. ბორჯომი. 571 91 11 90

აფხაზეთი: როგორ მოვექცეთ უკრაინაში გაწბილებულ „ჩაცუცქულს“

უკრაინაში შეჭრის მომენტიდან რუსეთის ლიდერი ვლადიმირ პუტინი საჯარო სივრცეში სულ უფრო იშვიათად ჩნდება და ამ იშვიათ მომენტებში გვერდში მხოლოდ ალექსანდრე ლუკაშენკო ჰყავს. რა გასაკვირია? — ცივილიზებულ მსოფლიოში ხომ მას ხელს აღარავინ ართმევს. დღის სინათლეზე ამ იშვიათი გამოსვლების მიზანი ორია: პუტინმა, რომელიც ომის დაწყებიდან კრემლიდან ურალის ბუნკერში გადაინაცვლა, პერიოდულად უნდა დაუმტკიცოს ხალხს, რომ საკუთარ გარემოცვას ლინჩის წესით ჯერ არ გაუსამართლებია და ამასთანავე, სიცრუის მორიგი დიდი აბი გადააყლაპოს რუსულ საზოგადოებას, რომელიც მართალია, სრულ საინფორმაციო ვაკუუმშია მოქცეული, თუმცა ნელ-ნელა მაინც ხვდება, რომ საქმე მთლად კარგად ვერ მიდის.

სიცრუის დიდი აბი გადააყლაპეს რუს ხალხს 12 აპრილსაც: პუტინი ისევ იტყუებოდა უკრაინაში შეჭრის მიზეზებისა და მიზნების, **„სპეცოპერაციის წარმატებით, გეგმასთან სრულ შესაბამისობაში მიმდინარეობის“,** ასევე იმის შესახებ, რომ რუსული ჯარის მიერ უკრაინაში ჩადენილი გაუგონარი სამხედრო და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულების მტკიცებულებები, რომლებიც უკვე საკმარისზე მეტი რაოდენობითაა შეგროვებული, მხოლოდ „ფეიქია“, ხოლო დასავლური სანქციები რუსეთის ეკონომიკას „ვერაფერს ავნებს“.

ასეთია ის „რეალობა“, რომლითაც რუსეთის ხელმძღვანელობა რუსულ საზოგადოებას ამ დრომდე კვებავს. რეალურ რეალობაში კი, თვენახევარია, რუსეთი უკრაინაში კონვექციურ ომს პირწმინდად აგებს და ცოცხალი ძალის კუთხით ამ დროში უკვე ბევრად მეტი დანაკარგი აქვს, ვიდრე ავღანეთის ომის ათივე წლის განმავლობაში (სხვადასხვა მონაცემით, უკრაინაში უკვე 17-20 ათასი რუსი სამხედროა დაღუპული). კიევი, ისევე, როგორც უკრაინის სხვა საკვანძო ქალაქები, არათუ „2-3 დღეში“ ვერ აიღეს — როგორც პუტინს მისი კორუმპირებული მატყუარა სამხედრო სარდლობა ჰპირდებოდა, არამედ თვენახევარშიც კი და უკვე სრულიად ნათელია, რომ ვერავითარ აღლუმს რუსეთი 9 მაისს კიევის კრეშჩატიკზე ვერ ჩაატარებს.

იძულებით გამოაცხადა რა თვენახევრიანი წარუმატებლობა „სპეცოპერაციის მხოლოდ პირველ ფაზად“ და უკან დაახევინა რა თავის ჯარს, ახლა პუტინი საკრალური 9 მაისისთვის დონბასის „მირთმევას“ მოელის — ამჯერად სრულად, ანუ ადმინისტრაციულ საზღვრებში, რათა ეს მაინც გაასაღოს „უძლეველი რუსული არმიის დიდ გამარჯვებად“ და ამით სცადოს გამაოგნებლად დიდი დანაკარგის გამართლება. თუმცა სადღეისოდ მსგავსი პერსპექტივაც კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა: ხმები ფრონტზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ „ტვირთ-200“-თან ერთად სულ უფრო აქტიურად აღწევს ახლა უკვე რუსეთის ყველაზე მოშორებულ წერტილებშიც და ამის კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება იმ სამხედროებისა და გვარდიელების რაოდენობაც, რომლებსაც არ სურთ, ამ უსამართლო, უგუნურ ომში ბუნკერის მატყუარა მმართველის იმპერიალისტურ ამბიციებს შეეწირონ.

რაც შეეხება ეკონომიკას, თავად რუსი ექსპერტებიც კი რუსეთის პერსპექტივას სამი სიტყვით აღწერენ: **დეფოლტი, ბლოკადა, დეფიციტი.** რეალურ და არა პუტინის რეალობაში დასავლური სანქციების ეფექტი მხოლოდ ახლა იწყებს გამოვლენას, რუსეთის ფედერაცია კი უკვე სამ კვირაში — 4 მაისს, მაღალი ალბათობით, სუვერენული დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

აი, ასეთ ვითარებაში და ამგვარი პერსპექტივების მქონე ქვეყნისთვის მიერთებას უპირებს სამხრეთ ოსეთს ანატოლი ბიბილოვი, თუმცა თუ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებით ვიმსჯელებთ, იგი ოპოზიციონერ კანდიდატთან აგებს. რით მოინდომებს ბიბილოვის ისტორიის დასრულებას მოსკოვი — სულ მალე შევიტყობთ. აფხაზეთი კი, უკრაინაში “პირველ ფაზაში“ განცდილი სამხედრო-პოლიტიკური მარცხით გაცოფებული კრემლის მხრიდან საგრძნობლად გაძლიერებული ზეწოლის მიუხედავად, რუსეთის შემადგენლობაში აშკარად არ იღვწის. მისმა ხელმძღვანელობამ მსგავსი შესაძლებლობა ცალსახად გამორიცხა. პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ განაცხადა, რომ სუვერენული დამოუკიდებელი აფხაზეთი აშენებს და სამომავლოდაც გააგრძელებს მოძმე მოკავშირე რუსეთთან ურთიერთობების 2014 წლის 24 ნოემბრის შეთანხმებასთან მკაცრ შესაბამისობაში მშენებლობას. პარლამენტის სპიკერმა ვალერი ქვარჩიამ ბრძანა, აფხაზეთის კონსტიტუცია სავსებით მკაფიოდ აღიარებს რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდო, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ — რომ **„აფხაზეთში არ არიან პარტიები ან პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხს დააყენებდნენ“.**

თუმცა როგორც მალევე გაირკვა, მსგავსი პოლიტიკოსი აფხაზეთში არსებობს. ეს ადგურ არძინბაა — ეკონომიკის ექს-მინისტრი, ამჟამად კი — აფხაზური ოპოზიციის თვითგამოცხადებული ლიდერი. ამ დღეებში მან აფხაზეთის „საკავშირო სახელმწიფოსთან“ მიერთების მხარდამჭერი განცხადება გააკეთა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზეც ორაზროვანი პოზიცია გამოხატა. **„ამ დროისთვის აფხაზეთი რუსეთის შეადგენლობაში შესვლას არ გეგმავს. თუმცა ჩემი ხედვით, საშუალოვადიან პერსპექტივაში რესპუბლიკა უნდა იღვწოდეს, მიუერთდეს რუსეთსა და ბელარუსს შორის „საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებას“ — განაცხადა არძინბამ და იქვე დასძინა, რომ „ამ შეთანხმების მეორე მუხლში გაწერილი არაერთი მიზნის აღსრულების მიმართულებით რუსეთმა და აფხაზეთმა უკვე მეტ წინსვლას მიაღწიეს, ვიდრე რუსეთმა და ბელარუსმა“.**

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ოპოზიციონერი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ კომფორტულად გრძნობდა თავს ხელისუფლებაში და მინისტრის პოსტზე 5-წლიანი მუშაობის პერიოდში არანაირი განსაკუთრებული დამსხურება არ ჰქონია, ორი წლის წინ პრეზიდენტადაც კი იყრიდა კენჭს. თუმცა მაშინ არჩევნებში ასლან ბჟანიამ გაიმარჯვა, ადგურ არძინბა კი ხმათა 30%-ზე ოდნავ მეტით მეორე და ბოლო ადგილზე გავიდა. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკის ექს-მინისტრი, რომელმაც აფხაზეთში ეკონომიკა ვერა და ვერ ჩამოაყალიბა, მთავარ ოპოზიციონერად პოზიციონირებდა და მიტინგების მოწყობასაც კი ცდილობდა, ოღონდ ნულოვანი შედეგით. ახლა, მიხვდა რა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება არ უწერია, მან, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, „რუსეთის ფედერაციის, ცოტა ბელარუსისა და სამხრეთ ოსეთის“ გუბერნატორად მაინც სცადოს ბედი. და არ ვიცი, რა გაგრძელებას პოვებს არძინბას უცნაური თაოსნობა, მაგრამ მის მხარდამჭერებს შორის იგი ჯერჯერობით ამაყ მარტოობაშია და მაღალი ალბათობით უკვე დღეს შეგვიძლია, ვუწინასწარმეტყველოთ ექს-მინისტრს რეიტინგის მკვეთრი ვარდნა.

საქმე ისაა, რომ დიახ, თავისუფალ — რეალური და არა პუტინისეული რეალობის ამსახველ მედიაზე წვდომა, რუსეთის მსგავსად და მისივე მოთხოვნით, აფხაზეთშიც მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, მაგრამ მოსახლეობა უიმისოდაც მშვენივრად ხვდება, რომ ყველაფერი სულაც არაა ისე, როგორც კრემლის პროპაგანდისტები სახავენ. აფხაზურმა საზოგადოებამ ხომ უკვე დაიწყო საკუთარ თავზე არა მარტო დასავლური სანქციების, არამედ ბუნკერის მმართველის ბრალეულობით არაშესაშურ დღეში ჩავარდნილი რუსეთის მიერ თავს მოხვეული რეპრესიების წვნევაც.

ამ „სიკეთეებიდან“ მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი. აფხაზეთში საგრძნობლად გაიზარდა ჯერ საწვავის, მის კვალდაკვალ კი ყველა პროდუქტისა და საქონლის ფასი. ამასთან, „სტრატეგიული პარტნიორი“ აფხაზეთზე საწვავს ყველაზე მაღალ საექსპორტო ფასად ასაღებს, მაშინ, როცა ყველა დანარჩენს მას ლამის უფასოდ სთავაზობს. ხელფასები, პენსიები და შემწეობები ამ ფონზე არ გაზრდილა, გადახდები გვიანდება, საბანკო ბარათები ვაი-ვაგლახით მოქმედებს. შედეგად სულ რაღაც ერთ თვეში სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა უკვე გაათმაგდა. ფსოუს საზღვარზე რუსებმა ისედაც მაღალი გადასახადები კიდევ უფრო გაზარდეს, რის გამოც რუსეთიდან შემოტანილ პროდუქციას მთლად ოქროს ფასი დაედო. თანაც, რუსეთში მისი ბითუმად შოვნაც გართულდა — იქ ხომ უკვე თითქმის ყველაფრის დეფიციტია. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, პუტინმა, რომელსაც უკრაინაში ყველა გეგმა აერია, „რუსსკი მირის“ დასახმარებლად აფხაზური ჯარი გამოიძახა, ოღონდ არაფრით აღჭურვილი — ფაქტობრივად საზარბაზნე ხორცად. ხოლო სხვადასხვა ყაიდის რუსი პოლიტოლოგების, ექსპერტებისა და სხვა კრემლელი ლაქიების საჯარო მოწოდებებმა, **„აფხაზეთი რუსეთთან მიერთების არსურვილის გამო დაისაჯოს“,** რაც არცთუ უსაფუძვლოდ იქნა აღქმული აფხაზეთისადმი რუსეთის რეალური დამოკიდებულებისა და გეგმების ნათელ მაჩვენებლად, მოსახლეობაში ანტირუსული განწყობების ახალი ტალღა გამოიწვია.

რა გასაკვირია, რომ არავინ იწვის სურვილით, რუსეთის ფედერაციას სუვერენიტეტი მიუგდოს ფერხთით? მაგრამ ვითარება დღითიდღე იძაბება, მოსკოვი წნეხს აძლიერებს და მატულობს შეგრძნება იმისა, რომ უახლოეს ხანებში აფხაზურ საზოგადოებას მოუწევს, „სტრატეგიულ მეგობარს“ მტკიცე „არა“ განუცხადოს.

ამ ყველაფერზე ფიქრსა და პარალელურად ინტერნეტში ქექვაში წავაწყდი რამდენიმე იმ ადამიანის მოსაზრებებს, რომლებიც ვლადიმირ პუტინს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში სანკტ-პეტერბურგში იცნობდნენ, ხოლო შემდეგ, უკვე მოსკოვში მასთან ერთად წლები იმუშავეს. „პუტინი დიდგულზე მხოლოდ მათთან იყო, ვინც დაშინების შესაძლებლობას მისცემდა, ხოლო თუ ვინმესთან თუნდაც მცირედ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაშინვე უკან იხევდა. ის ტიპური „ჩაცუცქულია“ პეტერბურგის ეზოებიდან. სწორედ ასეთი იყო მისი არსი ახალგაზრდობის წლებში, ასეთია იგი დღესაც. მართალია, წლების შემდეგ მას ერთი-ორი წმინდა ФСБ-შნიკური მანერაც შეემატა, თუმცა პუტინის თავდაპირველი პიროვნული ჩონჩხი ამას დიდად არ შეუცვლია“ — ამბობენ მისი ძველი ნაცნობები.

ჰოდა, მომივიდა აზრი, რომ მათ, ვინც უკრაინაში „ჩაცუცქულის“ ჩაფლავების ფონზე ამჟამად მოსკოვის ზეწოლას განიცდის, რა თქმა უნდა, სიფრთხილე და სიფხიზლე მართებთ — როგორც კუთხეში მომწყვდეულ ვირთხასთან, მაგრამ „ჩაცუცქულს“ შიში არ უნდა უჩვენონ — პირიქით, გაბედულად უნდა დაიცვან მის წინაშე საკუთარი ეროვნული მიზნები.

ინალ არისტავა.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება

უკმაყოფილო რუსი სამხედროები

„ოკუპანტების ქვედანაყოფებში პერსონალის უკმაყოფილება იზრდება, მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა კი დაბალია. რუსი სამხედროები გამუდმებით უჩივიან აღჭურვილობას, რომელიც მუდმივად უფუჭდებათ, მიწოდებული საწვავის ხარისხსა და საკვებს“, — აღნიშნულია უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ახალ განცხადებაში. უწყება აღნიშნავს, რომ ოკუპანტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება რუსი სამხედროების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა და მათზე ძალადობა, რაც წახალისებულია სამხედრო მაღალჩინოსნების ბრძანებებით.

„მტრის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოზიციების შენარჩუნებისკენ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

საშინელი სტატისტიკა

რუსეთთან ომს ორიდან სამ ათასამდე უკრაინელი სამხედრო ემსხვერპლა

„ჩვენი ინფორმაციით, 2500-დან 3000-მდე სამხედრო დავკარგეთ. კიდევ 10 000 სამხედრო დაჭრილია და რთულია იმის თქმა, რამდენი მათგანი გადარჩება. შედარებისთვის, რუსეთმა ომში უკვე 19-20 ათასი სამხედრო დაკარგა“, — აცხადებს ზელენსკი.

მან ასევე ისაუბრა მოკლულ სამოქალაქო პირებზე და განაცხადა, რომ მათი ზუსტი რიცხვის განსაზღვრა რთულია.

„ძვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქები — ხერსონი, ბერდიანსკი, მარიუპოლი, ვოლნოვახა ბლოკირებულია და ჩვენ უბრალოდ არ ვიცით, რამდენი ადამიანია იქ მოკლული“, — ამბობს ზელენსკი.

* * *

გაეროს მონაცემებით, ომის დაწყებიდან დღემდე უკრაინაში 1982 სამოქალაქო პირია მოკლული. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ინფორმაციით, მოკლულთა შორის 511 კაცი, 323 ქალი და 90 ბავშვია. კიდევ 72 ბავშვისა და 986 ზრდასრულის სქესი ამ დროისთვის იდენტიფიცირებული არ არის.

რაც შეეხება დაჭრილებს, გაეროს მონაცემებით, ამ დროისთვის 2651 სამოქალაქო პირია დაჭრილი.

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბი რუსეთის საოკუპაციო ძალების დანაკარგის შესახებ განახლებულ ინფორმაციას ავრცელებს. ბოლო მონაცემებით რუსეთის არმიის პირადი შემადგენლობის დანაკარგი დაახლოებით 20 100 -ს შეადგენს.

ასევე განადგურებულია მტრის შემდეგი ტექნიკა:
ტანკი — 762;
საბრძოლო ჯავშანტექნიკა — 1 982;
საარტილერიო სისტემა — 371;
ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა — 125;
საჰაერო თავდაცვის სისტემა — 66;
თვითმფრინავი — 163;
ვერტმფრენი — 145;
საავტომობილო ტექნიკა — 1 458;
გემი/კატარღა — 8;
საწვავმზიდი — 76;
ოპერატიულ-ტაქტიკური დონის უპილოტო საფრენი აპარატი — 138;
სპეციალური ტექნიკა — 26;
ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გამშვები დანადგარები — 4;

გენშტაბი აცხადებს, რომ მტრის დანაკარგის ზუსტი რაოდენობის აღრიცხვა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების გამო ვერ ხერხდება.

* * *

„რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიის შედეგად, უკრაინაში 563-ზე მეტი ბავშვი დაზარალდა. დაიღუპა 202 ბავშვი და დაშავდა 361-ზე მეტი“, — წერს გენერალური პროკურატურა Telegram-ზე. განცხადების თანახმად, ეს მონაცემები არ არის საბოლოო, რადგან აქტიურად მუშაობენ საომარი მოქმედებების რაიონებში, დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე დაღუპულთა რაოდენობის დასადგენად. ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთის შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდასხმებისას, დაზიანდა 1018 სასწავლო დაწესებულება, აქედან 95 მთლიანად განადგურდა.

* * *

უკრაინის ტყვეობაში დაახლოებით 700 რუსი ჯარისკაცი იმყოფება. როგორც BBC წერს, ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა განაცხადა.

ირინა ვერეშჩუკის თქმით, რუსულ მხარესაც დაახლოებით 700 უკრაინელი სამხედრო ჰყავს ტყვედ. გარდა ამისა, რუსებმა ტყვედ აიყვანეს 1000-ზე მეტი სამოქალაქო პირი, რომელთა ნახევარი ქალია. რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე 24 თებერვალს შეიჭრა, რის შემდეგაც პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა.

იმქვეყნიური იდუმალების ამბავს ყველა რელიგია თავისებურად გვამცნობს, ამ თემაზე ოდითგანვე ცხარედ კამათობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, მისტიკოსები, მეტაფიზიკოსები თუ თეოლოგები. ესაა კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული საკითხი, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხი, კერძოდ, მიცვალებულთა და ცოცხალთა სამყაროების ურთიერთობების თაობაზე, ჯერჯერობით მიგნებული არ არის. მაგრამ, საგულისხმოა, რომ ამ ამოუწურავი თემის თითქმის ყველა მკვლევარი დარწმუნებულია, რომ ადამიანის ფიზიკური სიკვდილი არა ყოფიერების დასასრულს, არამედ მხოლოდ მის სხვა ფაზაში გადასვლაა.

სულის მოგზაურობა

გვირაბის გავლით - სინათლისკენ

საიქიოს არსებობაზე მიმანიშნებელი არგუმენტები შეიძლება რამდენიმე სახეობად დავყოთ. მათგან ნომერ პირველად აუცილებლად უნდა დავასახელოთ **კლინიკურ სიკვდილგადატანილთა მრავალრიცხოვანი მოწმობები**. პაციენტების კლინიკურ სიკვდილს ადგილი სხვადასხვა დროსა და ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ კლინიკებში ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ყველანი „იქაური“ წუთიერი ყოფის ამბებს, ფაქტობრივად, ერთნაირად ჰყვებიან.

პირველ ყოვლისა, **ისინი, ვინც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, გრძნობდნენ, თუ როგორ ტოვებდა სხეულს რაღაც სუბსტანციის სახით მათი სული.** პაციენტების მონათხრობით, ადამიანი თითქოს ტოვებს თავის ფიზიკურ სხეულს, რომელსაც მერე ირგვლივმყოფებთან ერთად ზემოდან, ან გვერდიდან ხედავს. პირველ წამებში არის შიში და ექიმთა თუ დანადგართა ხელით შეხების სურვილი, შემდეგ კი სიმსუბუქისა და ეიფორიის შეგრძნება ჩნდება. ეს, ჩვეულებრივ, იმას უკავშირდება, რომ ავადმყოფობის თანმხლები ტანჯვა, ანდა სიკვდილისწინა სტრესული ვითარება აღარ არის.

ამასთან, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები მაინც ინარჩუნებენ მხედველობის, სმენისა და დამახსოვრების უნარს. არსებობს მათი არაერთი მონათხრობი, როცა ისინი სავსებით სწორად ჰყვებიან იმის შესახებ, თუ ნიშანდობლივ რა ხდებოდა სიცოცხლესთან მათი ხანმოკლე განშორების შემდეგ, როგორ მოქმედებდნენ ექიმები, როგორ იქცეოდნენ ნათესავები და ახლობლები და ა.შ.

გარდაცვალებიდან გარკვეული ხნის შემდეგ სულიერი სუბსტანცია იწყებს თავის მოგზაურობას. ამ მომენტიდან მოყოლებული კი, კლინიკურ სიკვდილგადატანილთა მონათხრობების ძალიან ბევრი ვარიანტია: ზოგიერთმა ფრთამარდი ფრინველივით გადაუფრინა მთელ დედამიწას, სხვები წარსულში გადაადგილდნენ — ზოგი საკუთარში, ზოგიც უფრო შორს წავიდა, ვთქვათ, შუა საუკუნეებში, ან სულაც ძველ სამყაროში. ზოგიერთი პაციენტი ყვებოდა უცხოპლანეტელ იდუმალ არსებებთან შეხვედრის შესახებ.

ყველაზე უფრო ხშირად ასეთ მონათხრობებში ჩნდება გვირაბი — მოგზაურობის დაწყებამდე ადამიანი, როგორც წესი, თავს უსხეულო სუბსტანციად აღიქვამს, თავს აღწევს ჩაკეტილ სივრცეს და კაშკაშა სინათლისკენ იჭრება.

ამ სახეს მეცნიერები სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგიერთის აზრით, ეს ტკივილის გაყუჩების შედეგია, ხოლო ფსიქოლოგ პაიელ ოტსონის აზრით, **გარდაცვალების დროს ჩვენ საკუთარ დაბადებას ვიხსენებთ, ანუ სინათლისკენ მოძრაობა იმეორებს ჩვილის მიერ მშობიარობისას გამოვლილ გზას.** ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების დროს კი ამერიკელმა მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ კლინიკური სიკვდილის დროს ამგვარ გვირაბს ისინიც ხედავენ, რაც იმითაა განპირობებული, რომ **მომაკვდავი თავის ტვინი მძლავრ იმპულსებს გამოსცემს, რაც სინათლედ აღიქმება.**

როცა სიცოცხლე გინდა

ამერიკელმა მკვლევარმა კევინ უილიამსმა, კლინიკურ სიკვდილგადატანილთა მონათხრობები გააანალიზა სტატისტიკის თვალსაზრისით. მისი დასკვნით, პაციენტთა 69 პროცენტმა ამ დროს ყოვლისმომცველი სიყვარულის გრძნობა განიცადა;. 65 პროცენტმა იგრძნო, რომ ტელეპათიის უნარი შეიძინა; 62 პროცენტის თვალწინ, როგორც კინოში, მთელმა ცხოვრებამ გაიარა; 56 პროცენტი შეხვდა არსებას, რომელიც ღმერთად მიიჩნია; 46 პროცენტმა იგრძნო, რომ ამიერიდან უსაზღვრო ცოდნას ფლობს და კიდევ დაახლოებით ამდენივემ ირწმუნა სივრცეში დაუბრკოლებლად გადაადგილების საკუთარი უნარი.

კლინიკური სიკვდილების შემთხვევათა გაანალიზების შედეგად, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ **ამ დროს ადამიანთა უმრავლესობის განცდები, არსებითად, დადებითი იყო. მეტიც, კლინიკურ სიკვდილგადატანილთა უმეტესობას მერე საკუთარ სხეულში უკან დაბრუნება აღარ უნდოდა.**

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის რაიმონდ მოუდის აზრით, **ფიზიკური დაღუპვის შემდეგ ადამიანის სული თავის სხეულს ტოვებს და სხვა სამყაროში გადადის, სადაც სხვა სულებს ხვდება.**

მსგავსი ამბავი გადახდა 2001 წელს ინგლისის ქალაქ პორტსმეტში მცხოვრებ ქალს, რის შესახებ იქაური პრესა იტყობინებოდა. კლინიკური სიკვდილის შემდეგ, ქალმა თავის წარსულ ცხოვრებაში იმოგზაურა და სასიამოვნო შეგრძნებებიც განიცადა, მაგრამ, რაღაც მომენტში, იგრძნო, რომ თავის მცირეწლოვან გოგონას დააობლებდა და მისი სული სხეულს დაუბრუნდა.

საერთოდ კი, კლინიკურ სიკვდილგადატანილთა მრავალრიცხოვანი მონაყოლები იმას მოწმობენ, რომ ფიზიკური სხეულის გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სიცოცხლე გრძელდება. თანაც, ადამიანის ხილვები, როგორც აწმყოში, ისე წარსულში, სავსებით შეესაბამება რეალობას.

ზარები „იქიდან“

იმქვეყნიური სამყაროს არსებობის მტკიცებულებათა სხვა სახეობა, თავის ბინადართა ცოცხალ ადამიანებთან კონტაქტებია. ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ შეხვედრები მოჩვენებებთან, გარდაცვლილთა ხმები და სხვა.

ავსტრალიის როუჰემპთონის უნივერსიტეტის მკვლევარმა ჟაკლინ ჰეისმა ბევრი ახლო ნათესავდაკარგული ადამიანი გამოკითხა, რომლებიც შემდგომ მათ სილუეტებს ხედავდნენ, ესმოდათ მათი ხმები და, ზოგჯერ, ახლად გარდაცვლილთა ტანზე შეხებებსაც კი გრძნობდნენ.

კონტაქტები შეიძლება ხდებოდეს როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების სურვილით. მაგალითად, უკვე ნახსენებმა რაიმონდ მოუდიმ შეიმუშავე „სარკის ოთახთა“ სისტემა, როცა ნახევრადჩაბნელებულ ოთახში, ადამიანი სარკეში თავის ანარეკლს უცქერს და, გარკვეული დროის შემდეგ, იქ მისი გარდაცვლილი ახლობლის გამოსახულება ჩნდება. ასევე არსებობს არაერთი მოწმობა გარდაცვლილებთან სატელეფონო საუბრების შესახებ.

ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ასეთი სატელეფონო საუბრის დროს, ადამიანმა არც კი იცის, რომ მისი თანამოსაუბრე გარდაცვლილია.

2000 წელს კენტუკის შტატის მცხოვრებმა, ავტოკატასტროფაში მოყლილმა თედ მეთიუენმა, კლინიკური სიკვდილი განიცადა. უკვე „გაცოცხლებული“ კი იგი იხსენებდა, რომ ცოლის გამო წუხდა და პალატის ტელეფონით ცდილობდა დაკავშირებოდა. მას ეჩვენებოდა, რომ ცოლი უპასუხებდა, მაგრამ კავშირი გამუდმებით წყდებოდა. მისმა მეუღლემ შემდეგ დაადასტურა, რომ იმ დღეს ტელეფონმა ნამდვილად დარეკა რამდენჯერმე, თუმცა კავშირი შეფერხებების გამო წყდებოდა. მაგრამ **ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ნომრის ავტოდამდგენელზე მართლაც აისახა პალატის ტელეფონის ნომერი, თუმცა კი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალიდან მისის მეთიუენისთვის არავის დაურეკავს.**

სასწორივით საწოლი

დაგოლოს, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების ფენომენის არსებობის მესამე, ამ ჯერზე უკვე ფიზიკური ხელსაწყოების ჩვენებებით გამაგრებული მტკიცებულება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამერიკელმა ექიმმა **დუნკან მაკდუგამმა** რიგი ექსპერიმენტი ჩაატარა, რა დროსაც ადგენდა ავადმყოფის წონას გარდაცვალებამდე და მის შემდგომ. **პაციენტის ლოგინი ამავდროულად ზუსტი სასწორიც იყო და აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებისთანავე მისი წონა დაახლოებით 21 გრამით იკლებდა. მედიკოსმა ივარაუდა, რომ ესაა სულის თუ რაღაც სულიერი სუბსტანციის წონა, რომელიც სიკვდილის შემდეგ სხეულს გამოეყოფა და მისგან განცალკევებით არსებობას იწყებს.** 1980 წელს მსგავსი ცდები ასევე ჩაატარეს გერმანიისა და აშშ-ს მეცნიერებმა, რომლებმაც ასეთივე შედეგები მიიღეს.

21-ე საუკუნის დასაწყისში, ლონდონის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მედიკოსები სწავლობდნენ მომაკვდავ ან კლინიკური სიკვდილის მდგომაროებაში აღმოჩენილი პაციენტების თავის ტვინის სიგნალებს. ავადმყოფზე მიერთებული ხელსაწყოები თავდაპირველად ადგენდნენ ელექტრული აქტივობის მძლავრ ამოფრქვევას, შემდეგ კი ის სრულიად ქრებოდა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლედაბრუნებული ადამიანები იგონებდნენ იმას, თუ რა გადახდათ ამ დროს პალატაში ყოფნისას. ესე იგი, **ადამიანის ცნობიერება არაა პირდაპირ დამოკიდებულებაში თავის ტვინის ფუნქციებთან და მაშინაც კი არსებობს, როცა ფიზიკური პროცესები მასში უკვე შეწყვეტილია!**

კონკრეტულად, მაინც რა მოსდის ადამიანს, ან მის სულს ჩვენი რეალობის მიღმა, ჯერჯერობით გამოცანად რჩება. მაგრამ, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ფიზიკური სხეულის დაღუპვა არ ნიშნავს სრულ გაქრობას, მაშასადამე, იმქვეყნიური სამყარო არსებობს!

და, იქნებ, ოდესმე კაცობრიობამ შეძლოს მისი კანონების შესწავლა და უკვდავებასაც მოიპოვებს? ვინ იცის...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ ტრიუმფი

კარინა საფინა და ლუკა ბერულავა მსოფლიოს ჩემპიონები არიან!

ტალინში (ესტონეთი) გამართულ ახალგაზრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სპორტულ წყვილებში შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წევრებმა – კარინა საფინამ და ლუკა ბერულავამ. მედლებისთვის სულ 10 წყვილი იბრძოდა.

ჩვენები შეჯიბრების პირველი დღიდანვე დაწინაურდნენ – მოკლე პროგრამის შემდეგ ისინი 67.77 ქულით ლიდერობდნენ. კარინას და ლუკას სპეციალისტები თავიდანვე ფავორიტებად მიიჩნევდნენ, რადგან ამ ახალგაზრდა დუეტმა წლეულს პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე მე-9 ადგილი დაიკავა, ხოლო უფროსების მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მედლებამდე ცოტა დააკლდა – მეოთხე ადგილებს დასჯერდა. სამაგიეროდ, საფინამ და ბერულავამ ტალინში ოცნება რეალობად აქციეს: თავისუფალი პროგრამის შემდეგ ორი დღის ასპარეზობის ჯამში 188.12 ქულით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს. 169.91 ქულით მეორე ადგილზე **ანასტასია გოლუბევა** და **პეკტორ გიოტოპულოსი მური** (ავსტრალია) გავიდნენ. 156.80 ქულით ბრინჯაოს მედალი **ბრუკ მაკინტოშსა** და **ბენიამინ მიმარს** (კანადა) ერგოთ.

ჩემპიონატზე ასპარეზობა დაასრულეს ვაჟებმაც. თავისუფალი პროგრამის შემდეგ 14 წლის ქართველი დებიუტანტი **კონსტანტინე სუპატაშვილი** 59.38 ქულით 21-ე იყო, საბოლოოდ კი 169.66 ქულით 22-ე ადგილს დასჯერდა.

◎ ოკეანის გაღმა

ნბა-ს ტალღაზე

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ახალი ჩემპიონი ეყოლება. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც შარშანდელმა გვირგვინოსანმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ რეგულარული სეზონი ჩააგდო და პლეი-ოფში ვერ მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ კალიფორნიელთა 37 წლის ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** სამეფო კარიერაში მეოთხედ დარჩა მერვედფინალს მიღმა, რასაც გუნდის თავკაცის **ფრენკ ვოგელის** სამწვრთნელო თანამდებობაც შეეწირა, რომელიც შეგირდებს მხოლოდ 33 მოგებითა და 49 მარცხით გამოეთხოვა (სულ – 225 მატჩიდან 127 გამარჯვებითა და 98 წაგებით).

„ვაფასებ ფრენკს როგორც მოედანზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ის შესანიშნავი მწვრთნელი და კარგი ადამიანია. ყოველთვის მადლიერნი ვიქნებით მის მიერ გაწეული სამუშაოს გამო, რამაც 2019-2020 წლების სეზონში ნბა-ს ჩემპიონის მე-17 ტიტულამდე მიგვიყვანა. ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა, მაგრამ ამ მომენტში აღნიშნული ნაბიჯი გადადგმა აუცილებლად მიგვაჩნია. ვოგელს და მის შესანიშნავ ოჯახს ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ“ – ეს „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერის **რობ პელინკას** სიტყვებია.

ვიდრე გაწბილებული ფავორიტები ჭრილობებს იშუშებენ, გამოვლინდა ოქროს ბეჭდისთვის მებრძოლთა წყვილები.

აღმოსავლეთი კონფერენცია: „ფილადელფია“ – „ტორონტო“, „მილუოკი “ – „ჩიკაგო“, „ბოსტონი“ – „ბრუკლინი “, „ნიუ ორლეანი “ – „ფინიქსი“.

დასავლეთი კონფერენცია: „დალასი“ –„იუტა“, „გოლდენ სტეიტი“ – „დენვერი“, „მემფისი“ – „მინესოტა“, „მაიამი“ – „ატლანტა“.

როგორც ყოველთვის, დიდ ინტერესს იწვევდა, თუ ვინ გახდებოდნენ რჩეულნი სხვადასხვა ნომინაციებში პირველი ეტაპის შემდეგ. აი, მათი ნუსხაც:

ბომბარდირი – ემბიდი („ფილადელფია“). **მოხსნა** – გობერი („იუტა“), **პასი** – პოლი („ფინიქსი“). **ჩაჭრა** – მიურეი („სან ანტონიო“). **დაფარება** – ჯექსონი („მემფისი“). **წუთი** – სიაკამი („ტორონტო“). **თამაშიდან რეალიზაცია** – გობერი. **ჯარიმების რეალიზაცია** – კარი („გოლდენ სტეიტი“). **სამქულიანების რეალიზაცია** – კენარდი („კლიპერსი“). **ორმაგი და სამმაგი დუბლები** – იოკიჩი („დენვერი“).

ყველაზე მეტი – 60 ქულა ერთ თამაშში პარტნიორებს შესძინეს თაუნსმა („მინესოტა“) და ირვინგმა („ბრუკლინი“). **მოხსნები** – საბონისი („ინდიანა“), დრამონდი („ფილადელფია“). **პასი** – გარლანდი („კლივლენდი“), პოლი. **ჩაჭრა** – ჯორჯი („კლიპერსი“). **დაფარება** – გეფორდი („ვაშინგტონი“), რობინსონი („ნიუ იორკი“). **სამქულიანები** – ბოგდანოვიჩი („იუტა“), ბისლი („მინესოტა“), კოვინგტონი („კლიპე:რსი“).

საშუალო გუნდური შედეგიანობით ყველას „მინესოტამ“ აჯობა. **მოხსნები** – „მემფისი“. **პასი** – „სან ანტონიო“. **ჩაჭრა** – „მემფისი“. **დაფარება** – „მემფისი“. **თამაშიდან რეალიზაცია** – „ფინიქსი“. **ჯარიმების რეალიზაცია** – „ფილადელფია“. **სამქულიანების რეალიზაცია** – „მაიამი“.

დასახელდა ის ხუთი კალათბურთელი, ვინც რეგულარული სეზონის 82-ივე მატჩი ჩაატარა. ავდია („ვაშინგტონი“),ბეი („დეტროიტი“), ბრიჯესი („ფინიქსი“), ლუნი („გოლდენ სტეიტი“), პაუელი („დალასი“).

ნბა-ს საუკეთესო 25-წლამდელ მოთამაშეთა რეიტინგის წამყვანი ათეული ტელეკომპანია ეს-პი-ენის ვერსიით: დონჩიჩი („დალასი“), ტეიტუმი („ბოსტონი“), მორანტი („მემფისი“), იანგი („ატლანტა“), ბოლი („შარლოტი“), კანინგემი (დეტროიტი“), უილიამსონი („ნიუ ორლეანი“), ადებაიო („მაიამი“), გარლანდი („კლივლენდი“), ალექსანდერი („ოკლაჰომა“).

დაბოლოს: ნბა-ს 75 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა გამოკითხვა ოკეანისგაღმა მოთამაშე ევროპელთაგან ყველა დროის სიმბოლური ნაკრების შესადგენად, რომელმაც ასეთი შედეგი მოგვცა.

პირველი გუნდი – პარკერი, დონჩიჩი, ანტენტოკუნმპო, ნოვიცკი (მან ყველაზე მეტი ხმა მიიღო), გასოლი.

მეორე გუნდი – პეტროვიჩი, სტოიაკოვიჩი, კუკოჩი, იოკიჩი, საბონისი.

სხვათა შორის, გამოკითხვის დროს 50-50 პროცენტით გაითვალისწინეს ექსპერტთა და ევროპელ გულშემატკივართა ხმები.

მოკლედ

ფეხბურთი.

საინტერესო წინადადება წამოაყენა სახელოვანმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა კენი დალგლიშმა, რომელსაც თბილისშიც აქვს ნათამაშევი „ლივერპულისთვის“ ცუდად მოსაგონარ ჩემპიონთა თასის მატჩში – 0:3.

„დიდი პატივისცემით უნდა მოვეპყრათ უკრაინელ ფეხბურთელებსა და იქაურ საფეხბურთო ასოციაციას. მათი ბრალი არაა, ასეთ ვითარებაში რომ აღმოჩნდნენ. უმეტესობა სამშობლოში არ თამაშობს, მაგრამ ჰყავთ ოჯახები, რომლებზეც ამ ომმა სერიოზულად იმოქმედა.

იქნებ, მათთვის გამონაკლისი დავუშვათ და ვუთხრათ, რომ 2026 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირ გავლენ და არ მოუწევთ კვაელიფიკაციის გავლა. ეს იქნებოდა პატივისცემის გამოხატვის ხერხი. ვფიქრობ, შესანიშნავია მათთვის ასეთი ვარიანტის შეთავაზება, თუ ისინი დაგვთანხმდებიან“.

* * *

თალლითობა, თანხების გაფლანგვა, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად წარმართვა და დოკუმენტების გაყალბება – ასეთი ბრალი ედებათ ფიფასა და უეფას ყოფილ პრეზიდენტებს – **იოზეფ ბლატერსა** და **მიშელ პლატინის,** რომლებიც ხანგრძლივი ვადით ჩამოაშორეს ყველანაირ საფეხბურთო საქმიანობას და პოსტების დატოვება აიძულეს.

საქმე 2015 წელს აღიძრა მას შემდეგ, რაც ფიფა კორუფციაში ამხილეს, ხოლო ბრალდება შარშან ნოემბერში წაუყენეს. ყოფილი ფუნქციონერები თავს დამნაშავედ არ სცნობენ, მაგრამ თუ მათი ბრალეულობა დამტკიცდება,

შესაძლოა ისინი პატიმრობით დასაჯონ ან ფულადი სანქციები დააკისრონ. სასამართლოს პირველი სხდომა შვეიცარიაში 8 ივნისს გაიმართება.

* * *

„რეალის“ ფრანგი ლიდერის ძარიმ ბენზემას ფეერიულმა თამაშმა განაპირობა მისი დაწინაურება 2021-2022 წლების სეზონის „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა განახლებულ რეიტინგში, რომელშიც პირველად უკანასკნელ პერიოდში ვერ მოხვდნენ საუკუნის მოვლენები – მესი და რონალდუ.

რაც შეეხება ნომინანტთა ტოპ-ათეულს, იგი ასეთი გახლავთ: ბენზემა („რეალი“), ლევანდოვსკი („ბაიერნი“), სალაჰი („ლივერპული“), მბაპე („პსჟ“), მოდრიჩი („რეალი“), მანე („ლივერპული“), დე ბრუინი („სიტი“), ჟუნიორი („რეალი“), ფოდენი („სიტი“), არნოლდი („ლივერპული“).

ჩოგბურთი.

ანტივაქცინერობის გამო შერისხული ნოვაკ ჯოკოვიჩი ნამდვილად შორსაა ჩვეული კონდიციებიდან, რაც მის შედეგებზეც აისახება.

როგორც გახსოვთ, „ნოლე“ დუბაის ტურნირს მეოთხედფინალიდან გამოთიშა ჩეხმა ირჟი ვესელიმ, ხოლო ამჯერად მონაკოს „მასტერსის“ სტარტზევე სერბს ესპანელმა ფოკინამ მოუგო 3 სეტში.

* * *

40 წლის როჯერ ფედერერმა მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო უარი განაცხადა როლან გაროსზე თამაშზე. ამ დღეებშივე გაირკვა, რომ ფრანგულ გრუნტის საფარზე ვერც იაპონელ კეი ნიშიკორის ვნახავთ.

კრივი.

მართალია, სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით ჩემპიონის ქამრის მფლობელი უკრაინელი მოკრივე **ალექსანდრ უსიკი** იარაღით ხელში სამშობლოს იცავს, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ხელთათმნის ოსტატთა განახლებულ რეიტინგში მაინც ტოპ-ხუთეულში მოხვდა. რაც შეეხება რინგის რჩეულთა ათეულს, იგი ასეთი გახლავთ.

გოლოვკინი (ყაზახეთი), ალვარესი (მექსიკა), კროუფორდი (აშშ), ფიური (ბრიტანეთი), უსიკი (უკრაინა), ჯოშუა (ბრიტანეთი), ბრეიდისი (ლატვია), უაილდერი (აშშ), სმიტი (ბრიტანეთი), ბეტერბიევი (რუსეთი).

სხვათა შორის, ფიური შესაძლოა ციხეში მოხვდეს ნარკოკარტელის მეთაურთან კავშირის გამო **(„თაიმზი“).**

◎ კორტზე

ფინალიც, ფიასკოც...

გასულ კვირას ქართველ ჩოგბურთელთაგან თავი ისახელა თბილისელმა **ეკატერინე გორგოძემ,** რომელიც შვეიცარიაში ჩოგბურთელ ქალთა 60.000-იანი შეჯიბრების რეიტინგ-ფავორიტი გახლდათ. ჩვენებურმა სტარტზე **ლეონი კუნგს** (შვეიცარია) სძლია – 6:0, 7:5, მეორე წრეში **ელზა ჟაკმოს** (საფრანგეთი) აჯობა – 5:7, 6:2, 7:5. შემდეგ რუსი **ერიკა ანდრეევა** ჩამოიშორა გზიდან – 7:5, 4:6, 6:2, თუმცა ამ მატჩის მოგებას 2 საათი და 36 წუთი მოანდომა. გორგოძემ ნახევარფინალში მერვე ნომრად განთესილი **დეა ჰერძელასი** (ბოსნია-ჰერცეგოვინა) დაამარცხა - 7:5, 6:1 და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში **რალუკა ჯორჯინა სერბანთან** (კვიპროსი) დამარცხდა – 3:6, 0:6.

* * *

ანტალიაში ქალთა ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე (Billie Jean King Cup) საქართველოს ნაკრებმა (მარიამ ბოლქვაძე, ოქსანა კალაშნიკოვა, ზოზია ქარდავა, თამარ გაგოშიძე, ნინო ნაცვლიშვილი, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ზედიზედ ექვსი შეხვედრა წააგო და ევროაფრიკული ზონის პირველიდან მეორე ჯგუფში ჩამოქვეითდა. გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებს დანიელმა ჩოგბურთელებმა 2:1 აჯობეს.

◎ ფორუმის წინ

სადებიუტო ზაფხული

დიდი ტრადიციებით გამორჩეული ქართული წყალბურთი წლეულს კიდევ ერთ სერიოზულ გამოცდას ჩააბარებს — მსოფლიოს ჩემპიონატების დებიუტანტთა სტატუსით „ჯვაროსნები“ ბუდაპეშტის აუზში საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთილი აგრესორი რუსეთის გუნდს ჩაანაცვლებენ 18 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით.

ამ დღეებში გამართულმა ფინალური რაუნდის წილისყრამ პლანეტის უძლიერესი 16-16 ქალთა და ვაჟთა ნაკრები რიგით მე-19 ფორუმის ჯგუფურ ეტაპზე ასე „დაახარისხა“:

ვაჟები

„ა“ ჯგუფი — უნგრეთი, ბრაზილია, მონტენეგრო, საქართველო;

„ბ“ ჯგუფი — იაპონია, საბერძნეთი, გერმანია, ხორვატეთი;

„გ“ ჯგუფი — იტალია, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი;

„დ“ ჯგუფი — ყაზახეთი, აშშ, ავსტრალია, სერბეთი.

ქალები

„ა“ ჯგუფი — იტალია, უნგრეთი, კანადა, კოლუმბია;

„ბ“ ჯგუფი — აშშ, ნიდერლანდები, სამხრეთ აფრიკა, არგენტინა;

„გ“ ჯგუფი — ბრაზილია, ყაზახეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია;

„დ“ ჯგუფი — ტაილანდი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი.

დაუფიქრებლად შეიძლება ითქვას, რომ უძლიერეს კვარტეტში მოვხვდით, რაშიც მომავალ მეტოქეთა რეგალიებიც დაგარწმუნებთ, მაგრამ მათ შორისაც კი მასპინძლები შეუდარებელნი **არიან. მაშ ასე:**

უნგრეთი: ოლიმპიადებზე — 9 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო; მუნდიალებზე — 3 ოქრო, 7 ვერცხლი, 1 ბრინჯაო; ევროპის ჩემპიონატებზე — 13 ოქრო, 6-6 ვერცხლი და ბრინჯაო; არის აგრეთვე მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი და მსოფლიოს ლიგის ორგზის გამარჯვებული.

მონტენეგრო: მუნდიალებზე — 1 ვერცხლი; ევროპის ჩემპიონატებზე — 1 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო; მსოფლიოს ლიგა — 3 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

ბრაზილია: მსოფლიოს ლიგა — 1 ბრინჯაო; პანამერიკული თამაშები — 1 ოქრო, 6-6 ვერცხლი და ბრინჯაო. დავძენთ, რომ მართალია აქამდე მადიარებთან და ბალკანელებთან გამართული ყველა შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ სამაგიეროდ ორივე ბრძოლა მოგებული გვაქვს სამხრეთამერიკელებთან.

ახალი სკვერი მოსახლეობის თანამონაწილეობით შენდება

გლდანის რაიონის გამგებელი ლევან ნაროუშვილი, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ კონსტანტინე ზარნაძესთან ერთად, გმირი კურსანტების №14-16-18 კორპუსების მოსახლეობას შეხვდა, სკვერის პროექტი გააცნო და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.



ასევე, მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც, მოსახლეობა თავის მხრივ, პროექტის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ, სკვერის მოვლა-პატრონობაში ჩაერთვება.

ამჟამად, აღნიშნულ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენები ყრია, რასაც გაიტანენ და დაახლოებით, 2 000 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა.

ტერიტორიაზე განთავსდება ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი სივრცეები, ფიტნეს ზონა, მოსასვენებელი პავილიონი, დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, დაირგვება სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე. ასევე, განთავსდება სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

მსგავსი მემორანდუმების მიზანი, გამგეობის მიერ დაგეგმილ პროექტებში მოსახლეობის აქტიური ჩართულობაა. მემორანდუმი ასევე, ემსახურება ცნობიერების ამაღლებას, ვანდალიზმის ფაქტების შემცირებასა და ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მხრიდან რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობაში ჩართულობას.

სიგარეტი დროებით „გაფრთხილების“ გარეშე მოწიეთ!..

2022 წლის პირველ სექტემბრამდე შესაძლებელი იქნება, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის თითოეულ შეფუთვაზე განთავსებული სამედიცინო გაფრთხილება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კონკრეტულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდეს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისის დაშვებას მთავრობა ითხოვს. აღმასრულებელი ხელისუფლება მიზეზად უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს ასახელებს.

მთავრობის განმარტებით, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებულ ქარხნებში შეუძლებელია პროდუქციის წარმოება და მასზე სამედიცინო გაფრთხილებების განთავსება/დაბეჭდვა.

მათი ცნობით, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2021 წელს საქართველოში უკრაინიდან იმპორტირებული სიგარეტის დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენს და იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელებს საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემო შეექმნათ და ზემოხსენებულმა პროცესებმა იმპორტის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შემოსავლებზე გავლენა არ იქონიოს, დროებითი გამონაკლისის დაშვება იგეგმება.

ცვლილებების მიხედვით, გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა ექნებათ, შეზღუდული დროით საქართველოს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე განახორციელონ თამბაქოს ნაწარმზე სამედიცინო გაფრთხილებების გარე გამჭვირვალე შეფუთვაზე სტიკერის სახით დაკვრა.

ამასთან, ცვლილებებით, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელსა და იმპორტიორს შესაძლებლობა ექნება, ჯანდაცვის სამინისტროს ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი), თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების სამედიცინო გაფრთხილების სახისა და ნიმუშის როტაციის შესახებ, ასევე, გასახურებელი თამბაქოს ან თამბაქოს ახალი ნაწარმის შემთხვევაში ყოველი ახალი პროდუქციის განთავსებაზე ინფორმაცია წარუდგინოს განსხვავებული წესითა და პირობებით.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უხუცესი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ნიანგის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, ბოლო წლებში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ სატირისა და იუმორის რედაქციის წამყვანი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღიმილისა და სიკეთის კაცი

ჟანი (ბეჟან) სიხარულიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს თავის მრავალათასიან მკითხველს, რომ გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ჟურნალისტი, იუმორისტი და გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი, ჟურნალ „ნიანგის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, კოლორიტული პიროვნება

ჟანი (ბეჟან) სიხარულიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ნატო, გია შალამბერიძეები, რძლები მზია ნაჭყებია, შორენა შურღულაია, თეონა ელიავა, მული ზაირა შალამბერიძე, შვილიშვილები გია, ნანა სალაყაიები, ნატა, ნათია შალამბერიძეები, სიძე ზურაბ ნაროუშვილი, მძახალი ნათელა ხუხია და ახლო ნათესავები იუწყებიან

ირა გრიგოლის ასული ადამია-შალამბერიძის

გარდაცვალებას

დაკრძალვა 19 IV, 15 საათზე. მისამართი: ქალაქი სენაკი, ქუთაისის პირველი ჩიხი №11.

დალი და **ბადრი ბარკალაიები** ოჯახით იუწყებიან

ირა გრიგოლის ასული ადამია-შალამბერიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები დალი ჩიქოვანი და თენგიზ რამიშვილი ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ ღირსეულ პიროვნებას და კარგ მეგობარს თეიმურაზ (თემო) ებრალიძეს გარდაეცვალა მეუღლე, უძვირფასესი ქალბატონი

ხათუნა ფურცელაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

◎ აუზში

22 აპრილიდან - თბილისში

პოდგორიცა (მონტენეგრო) 18 სექტემბრიდან 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრების რვა საგზურისთვის 16 გუნდი იბრძვის. 22-24 აპრილს თბილისში B ჯგუფის (საქართველო, თურქეთი, ლიეტუვა, უკრაინა) წარმომადგენლები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

22 აპრილი. თურქეთი — უკრაინა, საქართველო — ლიეტუვა.

23 აპრილი. ლიეტუვა — თურქეთი, საქართველო — უკრაინა.

24 აპრილი. უკრაინა — ლიეტუვა, საქართველო — თურქეთი.

ორი საუკეთესო ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. D ჯგუფში (მალტა, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი) საკვალიფიკაციო ორთაბრძოლები უკვე გაიმართა. პირველ-მეორე ადგილებზე ნიდერლანდები და მალტა გავიდნენ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ჭკუას მოეგეთ, შვილებო

წერილი საქართველოს ახალგაზრდობას

დღეს რაც უკრაინაში ხდება, წარმოუდგენელი ჯოჯოხეთია. უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი მიტინგები იმართება ყველგან და მოითხოვნაა, შეწყდეს უდანაშაულო ხალხის გენოციდი და რბევა.

საქართველოში კი რას ვხედავთ: მოღალატე ნაციონალებმა საბაბი იპოვნეს და შეკრებილთ მოუწოდებენ მთავრობის გადადგომისკენ. ასეთ ვითარებაში საგანგაშოა გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდების ნაწილის ქცევა.

ჭკუას მოეგეთ, შვილებო,
ერიდეთ რჩევას თახსირთა,
ყალბად რომ შეგაგონებენ:
– ქართველო, ხელი ხმალს
იკარ!
უაზროდ ნუ მიენდობით
ცრუ ქაქუნათა მოამქრეთ,
და მოგიზგიზე ხანძარი
ძირშივე მიაქრ-მოაქრეთ.

გახსოვდეთ, ახლა თქვენა ხართ
სწორედ იმ ასაკისანი,
წინა თაობა რომ იქცა
აფხაზეთს მსხვერპლად მტრისანი.
უმიზნოდ თავს ნუ გაწირავთ,
ერი ისედაც ობლდება
და უშვილძირო ქვეყანა
უდაბნოდ გადაობდება.
ბოლო ოცდაათწლეულში
იმდენი ვთესეთ ღალატი,
თანაც არაერთს ვეხოტბეთ
მორბენალს გიჟის ხალათით,

რომ უკვე ფუძეშერყეულ
ქვეყანას დღეს თქვენ გაბარებთ,
შვილებო, ერთს გთხოვთ –
მომავალს
თქვენსას ნუ დაასამარებთ.
დღეს შეშლილ დედამიწაზე
კაცობრიობის ბედი დევს.
სისხლის წვიმაში ნუ შეხვალთ,
ჯოჯოხეთს გამოერიდეთ.
ასჯერ გაზომეთ და ერთხელ
გაჭერით გადასაჭრელი -
უფსკრულის პირას მისული
ერია გადასარჩენი.
და ახლა, როგორც არასდროს,
აწონილ სიმრძნით იღვაწეთ,
იქნებ როგორმე დამკვიდრდეს
სიმშვიდე ქართულ მიწაზე.

ამ ახალ შეჭირვებისას
ერმა მოთხოვნა გაგანდოთ:
მოღალატეს და უკეთურს
ბედი ქართლისა არ ანდოთ!

P. S.
რაც შეეხება ციხედ მყოფ
ავანტიურისტს, შევნიშნავ –
ვერ გაექცევა სამართალს,
ეს უკვე ცხადად მენიშნა.
მისგან ხელნაკრავ სამშობლოს
ავად რომ შემოეცხა,
იმ კაცს თუ ეთაყვანები,
ან ბრმა ხარ, ანდა ბეცი ხარ!

გივი შეყილაძე,
აპრილი, 2022

გივი (გიორგი) ცაგარელი – 85!

ფოტოზე: იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, ილარიონ ხაზარაძე, გივი (გიორგი) ცაგარელი.

დიდი ბაბუების – აქვსენტი და ალექსანდრე ცაგარელების შვილიშვილს, ცნობილი ექიმების – ასიკო და იას შვილს გივი (გიორგი) ცაგარელს ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.

ერთი ეზო, ერთი სკოლა და კლასი, ერთი ვერის უბნის ბირჟა, ერთი ინსტიტუტი (სპი) და ერთი ულამაზესი სპორტი – ფარიკაობა.

ასე გავიარეთ 85 წელი.

ჩვენი კლასის „ბრწყინვალე ოთხეულიდან“ (არა ამერიკული შვიდეულიდან) დავრჩით შენ და მე.

გავაცილეთ ილარიონ ხაზარაძე და გურამ ჯაიანი – ისინი ჩვენ იქ (ზეცაში) გველოდებიან.

შენ კი გისურვებ ჯანმრთელობას და წარმატებული სამეცნიერო გზის გაგრძელებას.

იური ოსიპოვი.

ანტიკვარი ნაგვის ურნასთან...

პარიზში ქალმა ნაგვის ურნასთან 100 000 ევროს ღირებულების მოპარული ვიოლინო იპოვა. ინსტრუმენტი 2021 წლის შემოდგომაზე ელისეს მინდვრების ორკესტრის მუსიკოსს, ენრიკო ტედეს მოპარეს, როდესაც ის მატარებლით გასტროლებზე მიემგზავრებოდა.

სავარაუდოდ, ქურდმა მყიდველი ვერ იპოვა, ვინაიდან ვიოლინო ვენეციელი ოსტატის, ჯულიო დეგანის მიერ არის დამზადებული და ადვილად ამოსაცნობია.

პოლიციამ ინსტრუმენტი ენრიკო ტედეს დაუბრუნა, ქალმა კი, რომელმაც ვიოლინო იპოვა, ფულად ჯილდოზე უარი თქვა და მხოლოდ პარიზში ელისეს მინდვრების ორკესტრის მომდევნო კონცერტის მოსაწვევებს დასჯერდა.

ამერიკელებს მექსიკიდან მიგრანტები უტევენ



აშშ-ის სასაზღვრო ძალებმა მარტში დააკავა 210 000 მიგრანტი, რომელიც ცდილობდა მექსიკა-აშშ-ის საზღვრის გადაკვეთას. ეს რიცხვი ყველაზე მაღალი თვიური მაჩვენებელია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, – ინფორმაციას Telegram-ი ავრცელებს. აღნიშნული ერთი თვის მაჩვენებელი 24%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (169 000 დაკავებული მიგრანტი).

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელმაც თანამდებობა 2021 წლის იანვარში დაიკავა, პირობა დადო, რომ შეცვლიდა რესპუბლიკელი წინამორბედის დონალდ ტრამპის მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას.

ფილიპინებზე ტროპიკულ შტორმ „მეგის“ 167 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ტროპიკული შტორმი „მეგი“ ფილიპინებს გასულ კვირას დაატყდა თავს. შტორმის სიჩქარე საათში 65 კილომეტრს აღწევდა. რამაც კუნძულოვანი სახელმწიფოს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მეწყერი და წყალდიდობები გამოიწვია.

ფილიპინებზე ტროპიკულ შტორმ „მეგის“ 167 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ფილიპინების საგანგებო მდგომარეობის სააგენტოს მიხედვით გარდაცვლილია სულ მცირე 167 ადამიანი. დაკარგულად ითვლება 110. საერთო ჯამში ტროპიკული შტორმით გამოწვეული მეწყერის და წყალდიდობების შედეგად დაზარალდა 1,9 მილიონი ადამიანი. ცენტრალური და სამხრეთ რეგიონებში მცხოვრებთა უმეტესობას საკუთარი სახლების მიტოვება და თავშესაფრებში გადასვლა მოუწიათ. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ოთხი თვის წინ ფილიპინებს სუპერ ტაიფუნი „რაი“ დაატყდა თავს, რომლის შედეგადაც 375 ადამიანი გარდაიცვალა და 500 ათასზე მეტი დაზარალდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0706; ევრო - 3.3190
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0136;
100 რუბლი - 3.7795; თურქული ლირა - 0.2113;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8144;
1000 სომხური დრამი - 6.5193.

ამინდი 18 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +27
თბილისი: ღამე +10, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge